კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

რიმა შელია

ნატო-თურქეთის ურთიერთობის აქტუალური ასპექტები და პრობლემები: თანამშრომლობა თუ კონფრონტაცია?!

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: ლევან ნიკოლეიშვილი პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორანტი, ასისტენტი

თბილისი 2020

ანოტაცია

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო) წარმოადგენს სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსს, რომელიც 1949 წლის 4 აპრილს შეიქმნა. მისი მიზანია ჩრდილოატლანტიკურ სივრცეში მშვიდობის, მისი წევრი ქვეყნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ამას კი ახორციელებს როგორც პოლიტიკური ისე სამხედრო საშუალებებით. ორგანიზაცია იცავს და პატივს სცემს ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა წევრი სახემწიფოების სუვერენიტეტი, დემოკრატია, ინდივიდუალური თავისუფლება, ტერიტორიული მთლიანობა, ადამიანის უფლებები თუ კანონის უზენაესობა და ა.შ. ნატო-ს როლი და მისი ფუნქციები ძალიან მნიშვნელოვანია მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფისთვის. მასში გაერთიანებული სახელმწიფოები ნატოსთან ერთად ცდილობენ ებრძოლონ 21-ე საუკუნის პრობლემებს თანამედროვე უსაფრთხო სისტემების დანერგვით.

ნაშრომში ძირითადად განხილულია ნატოსა და მისი ერთ-ერთი წევრი სახელმწიფოს, თურქეთის ურთიერთობების წასრულისა და აწმყოს ასპექტები, პრობლემები, გამოწვევები და სამომავლო პერსპექტივები.

ნათლადაა წარმოჩენილი ნატოს მნიშვნელობა თურქეთისთვის, ისევე როგორ თურქეთის მნიშვნელობა ნატოსთვის. თურქეთი აქტიურად თანამშრომლობს რუსეთის ფედერაციასთან, რაც დამატებით პრობლებემს უქმნის ნატოს ინტერესებს აღნიშნულ რეგიონში. თუმცაღა, როგორც შავი ზღვის რეგიონში მდებარე სახელმწიფოს, განსაკუთრებული როლი აქვს შავ ზღვასა თუ ახლო აღმოსავლეთში არსებული სიტუაციის კონტროლისთვის და იქ დასავლური ინტერესების გასატარებლად.

Annotation

Current Aspects and Problems of NATO-Turkey Relations: cooperation or confrontation ?!

The North Atlantic Treaty Organization (NATO) is a political and military alliance formed on April 4, 1949. NATO's purpose is to guarantee the freedom and security of its members through political and military means. Alliance strictly defends and respects principles and values such as sovereignty of member states, democracy, individual liberty, territorial integrity or political independence, human rights, the rule of law etc. NATO's role and its functions are very important in order to ensure peace and stability through the world. The member states of the organization, along with NATO, are trying to combat the problems of the 21st century by introducing modern safe systems.

The paper discusses relations between NATO and one of its member country – Turkey. Thesis consists the research of historical aspects, current issues, challenges and political perspectives in the future.

The significance of NATO for Turkey, as well as the importance of Turkey for NATO is clearly reflected. Turkey is increasing cooperative policy with Russian Federation and it creates additional questions and issues for the interests of Allianse with this course. However, as a member of the Black Sea Region geographically, Turkey has a special role to play in controlling the current situation in the Black Sea or in the Middle East and to pursue Western interests there.

Rima Shelia

სარჩევი

ანოტაცია……....2

Annotation……...3

შესავალი 5

თავი I. თურქეთის ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში ინტეგრაციის პროცესი..... 11

1.1. ნატო-თურქეთის თანამშრომლობის ისტორია 12

1.2. ნატო-თურქეთის თანამშრომლობის მექანიზმები და პროგრამები..... 17

1.3 თურქეთის მონაწილეობა ალიანსის მიერ წარმოებულ ოპერაციებში და სამხედრო თანამშრომლობა..... 21

თავი II. ნატო-თურქეთის ურთიერთობების გაუმჯობესებისა თუ გაუარესების პოლიტიკური ფაქტორები და შავი ზღვის აუზის მნიშვნელობა 32

2.1. ნატოს გეოპოლიტიკური ინტერესები შავი ზღვის აუზის ქვეყნებისადმი..... 32

2.2 თურქეთ-რუსეთის ურთიერთობის გავლენა ნატო-თურქეთის ურთიერთობაზე 37

2.3. თურქეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკა და აშშ-ს ფაქტორი 43

თავი III. ნატო-თურქეთის ურთიერთობები: თანამშრომლობა თუ კონფრონტაცია?! 53

3.1. თურქეთი, როგორც ნატოს მნიშვნელოვანი სტატეგიული პარტნიორი, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუვნელყოფის თვალსაზრისით..... 53

3.2. თურქეთისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ურთიერთობის ასპექტები დღევანდელ პირობებში და სამომავლო პერსექტივები..... 58

დასკვნა 61

გამოყენებული ლიტერატურა.....69

შესავალი

თურქეთის კულტურა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ტრადიციების ერთგვარ ნაზავს წარმოადგენს. მდებარეობის მიხედვით მისი ტერიტორიის ნაწილები მოიცავს ანაატოლიის ნახევარკუნძულს, დასავლეთ აზიას, ასევე სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპისა და ბალკანეთის ნახევარკუნძულის ნაწილებს. შესაბამისად, აღნიშნულ სახელმწიფოს სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია. იგი ტრანსკონტინენტური ქვეყანაა და გეოგრაფიული მდებარეობა არის ერთ-ერთი საფუძველი იმისა, რომ თურქეთი დღეს გეოპოლიტიკური თვალსაზრისით ანგარიშგასაწევი ძალაა მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ნატოსთვის თურქეთი წარმოადგენდა მნიშვნელოვან სტრატეგიულ პარტნიორს საბჭოთა კავშირთან საბრძოლველად და ამ ქვეყნის ინტერესებშიც შედიოდა ნატოს წევრობა. ცივი ომის დასრულების შემდგომ, თურქეთი ისევე, როგორც ალიანსის სხვა წევრები გადაერთნენ შედარებით უფრო პოლიტიკურ საქმიანობაზე. უკანასკნელ პერიოდში, სირიის სამოქალაქო ომისა და ისლამური სახელმწიფოს გაძლიერების ფონზე, გეოგრაფიული მდებარეობისა და ტერორიზმთან ბრძოლის დიდი გამოცდილების გამო, იგი ისევ შეუცვლელი სტრატეგიული პარტნიორი გახდა, თუმცა პოლიტიკურმა პროცესებმა, თურქეთ-რუსეთის და ამერიკა-თურქეთის ურთიერთობებმა, ასევე გადატრიალების მცდელობამ ქვეყანაში და ნატოს მიმართ განწყობის შეცვლამ გარკვეული კითხვის ნიშნები გააჩინა ნატო-თურქეთის ურთიერთობაში.

თემის აქტუალობა: თემა აქტუალურია, იმდენად რამდენადაც თურქეთში განვითარებულმა მოვლენებმა და მის მიმართ წარმოებულმა პოლიტიკამ, ასევე თავად თურქეთის დამოკიდებულებამ ერთის მხრივ რუსეთისადმი, მეორეს მხრივ კი დასავლეთისადმი, შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს სხვა სახელმწიფოებზე და ზოგადად არსებულ მსოფლიო წესრიგზე.

ნაშრომის მიზნები და ამოცანები:

- მიმოვიხილოთ ნატოსა და მისი ერთ–ერთი ყველაზე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი წევრის, თურქეთის, ურთიერთობა ბოლოდროინდელი მოვლენების გათვალისწინებით და შევადაროთ მანამდე არსებულ ვითარებას;
- ისტორიული რეალობისა და აწმყოს შესწავლა და ანალიზი სხვადასხვა ფაქტორებისა და გარემოებების გათვალისწინებით;
- ალიანსის როლის წარმოჩენა მსოფლიო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში და მოვლენათა ობიექტური შეფასება;
- განვასხვავოთ ერთმანეთისაგან „თურქეთი - „ნატოსა“ და „თურქეთი - ამერიკის“ ურთიერთობები;
- თემის ამოცანაა ხაზი გავუსვათ თურქეთის მნიშვნელობას ნატოსთვის, ისევე როგორც ნატოს მნიშვნელობას თურქეთისთვის.

საკვლევი კითხვები:

1. რა არის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უსაფრთხოების მთავარი ამოცანა გლობალური უსაფრთხოების თვალსაზრისით?
2. როგორია თურქეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკა მიმდინარე გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კონტექსტში?
3. რა მნიშვნელოვანი პროცესები შეიძლება გამოვყოთ თანამედროვე ეტაპზე ნატო-თურქეთის ურთიერთობებში?
4. როგორია ნატოს-თურქეთს შორის არსებული ურთიერთობების სამომავლო პერსპექტივები?

ჰიპოთეზა: უკანასკნელ პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა მნიშვნელოვნად შეცვალა მდგომარეობა მსოფლიოში. გაჩნდა მრავალი ახალი საფრთხე და დაპირისპირების კერა, შესაბამისად უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო თანამშრომლობასა და ორგანიზაციებს, რომლებიც უზრუნველყოფენ უსაფრთხოებას მსოფლიოში. ნატო ძლიერია იმდენად, რამდენადაც მყარი და ქმედითია კავშირები მასა და მის წევრ სახელმწიფოებს

შორის. ნატოსთვის თურქეთი წარმოადგენს მნიშვნელოვან სტრატეგიულ პარტნიორს, შესაბამისად მოსალოდნელია რომ მათ შორის არსებული კავშირები უცვლელად შენარჩუნდება.

კვლევის საგანი და ობიექტი: კვლევის საგანია ნატო-თურქეთის ურთიერთობები და სამომავლო პერსპექტივები, ხოლო ობიექტია ის ინსტრუმენტები და საშუალებები, რომელბიც განსაზღვრავენ მათ შორის არსებული პარტნიორობის ასპექტებს.

თემის დამუშავების დროს გამოყენებული მეთოდოლოგია:

- „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია, რომელიც უკავშირდება საერთაშორისო უსაფრთხოების ცნობილი ამერიკელი მკვლევარის რიჩარდ კოენის სახელს. იგი გვთავაზობს უსაფრთხოების ისეთ მოდელს, რომელიც იდეალიზებული ქვაკუთხედიდან პრაქტიკულად აღსრულებადი ხდება;
- „ძალთა ბალანსის“ თეორია,რომელიც უკავშირდება პოლიტიკურ რეალიზმს და გამომდინარეობს საერთაშორისო სისტემის ანარქიული სტრუქტურიდან;
- „ალიანსის თეორია“, რომლის მიხედვითაც თანამშრომლობა იყო იმ აუცილებლობის შედეგი რომ გაეერთიანებინა რესურსები, რათა გლობალურად შეეკავებინა საბჭოთა ძალა ცივი ომის დროს. რამდენადაც უსაფრთხოების მნიშვნელობა აჭარბებს ეკონომიკურ საკითხებს რეალისტურ სამყაროში, ეკონომიკური თანამშრომლობა დასავლეთ ევროპაში გამოწვეული იყო ალიანსის გათვალისწინებით, საბჭოთა მუქარის თვალსაზრისით.

კვლევის მეთოდები:

- თემის დამუშავების დროს გამოყენებული სავარაუდო მეთოდოლოგია არსებული თეორიული მასალის განხილვა, ანალიზი და დასკვნების გამოტანა;

- საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით ნაშრომში გამოყენებულია მონოგრაფიული გამოკვლევა (“შემთხვევის შესწავლა”), რაც დაგვეხმარება რეალური ფაქტების უკეთ ანალიზში;
- ნაშრომის დამუშავებისას გამოყენებული მეთოდოლოგია ძირითადად დაეფუძვნება ემპირიული კვლევის საფუძვლებს;
- თვისობრივი კვლევის მეთოდები:
  -ისტორიულ-აღწერილობითი
  -მონაცემთა ანალიზი
- რაოდენობრივი კვლევის მეთოდები:
  -პოლიტიკის კვლევის ანალიზი
  -კონტენტ ანალიზი

თემის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა: თემას გააჩნია ძირითადად თეორიული დანიშნულება, ვინაიდან ის მნიშვნელოვანი საფუძველი იქნება მომავალში ამ საკითხით დაინტერესებული პირებისთვის. ასევე მისი გამოყენება შესაძლებელია უმაღლესი სასწავლებლების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე. ნატო-თურქეთი ურთიერთობის ასპექტების, ასევე წარსულის, აწმყოსა და სამომავალი პერსპექტივების გაანალიზების საფუძველზე გამოტანილი დასკვნები და რეკომენდაციები მნიშნელოვანი იქნება მომავალი მკვლევარებისთის, საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტებისთვის და სხვ.

კვლევის მოსალოდნელი შედეგების განხილვა: ნაშრომში მიმოხილული იქნება ისტორიული ასპექტები, თურქეთის ნატოში გაწევრიანების მიზეზები. წარსულის გაანალიზების საფუძველზე შესაძლებელი იქნება შევაფასოთ თანამედროვე ეტაპზე არსებული პრობლემები და გამოწვევები. ნატოსა და თურქეთის მოქმედებით ახალი საფრთხეების წინააღმდეგ, ტერორიზმთან ბრძოლაში და სამშვიდობო მისიებთან მიმართებაში, შეგვიძლია დავასკვნათ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მათ შორის არსებული ურთიერთობების შენარჩუნება.

ძირითადი ლიტერატურული წყაროების მიმოხილვა: გამოყენებულია სხვადასხვა ავტორების წიგნები, სტატიები, ასევე სხვა ნაშრომები, რომლებით მოცემულ თემატიკას ეხება.

- **ვ.მაისაია - შავი ზღვის აუზის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები. ქართულ-ევროპული ინსტიტუტი (პარიზი) კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი (თბილისი)- პარიზი 2003 წ.**

წიგნში საუბარია შავი ზღვის მნიშვნელობაზე და მოცემულია შავი ზღვის აუზის რეგიონში არსებული სიტუაციის გეოპოლიტიკური ანალიზი. ასევე ხაზგასმულია სახელმწიფოების ინტერესები აღნიშნული რეგიონისადმი, ეკონომიკური პროცესები თუ მოვლენები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა ცივი ომის პერიოდში და მას შემდეგ.

- **ნ. ჩიტაძე. ,,ნატო ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიო მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი" - მარშალის ცენტრის კურსდამთავრებულთა კავშირი, საქართველო-საერთაშორისო და უსაფრთხოების საკითხების კვლევის ცენტრი, თბილისი 2008**

ავტორი ყურადღებას ამახვილებს ნატოს ისტორიულ-აღწერილობით მიმოხილვაზე, ხაზს უსვამს ნატოს მნიშვნელობას მშვიდობის ჩამოყალიბებისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის სფეროში, ასევე როლზე პარტნიორ წვერ თუ პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობასტან მიმართებაში.

- **სანდრო ბაკურაძე, "თურქეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ორიენტირები ცივი ომის შემდგომ პერიოდში", კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი „კავკასიური სახლი", თბ.2020**

მასში მიმოხილულია თურქეთის ისტორია, თურქეთის რესპუბლიკის მთავრობების საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებზე, თურქეთისა და აშშ ურთიერთობები, თურქეთ-ევროკავშირის ურთიერთობები, თურქეთის შუა აღმოსავლური პოლიტიკა ცივი ომის შემდგომ პერიოდში, ურთიერთობები

რუსეთოს ფედერაციასთან, ურთიერთობები თურქულენოვან რესპუბლიკებთან, ურთიერთობები ბალკანეთთან , კავკასიის ქვეყნებთან და ა.შ

- **„Turkey and the West: Fault Lines in a Troubled Alliance (Geopolitics in the 21st Century)“, Kemal Kirisci**

წიგნი ამტკიცებს, რომ მიუხედავად პრობლემებისა, საშინაო და რეგიონალური რეალობები თურქეთს ახლა აყენებს დასავლეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების გზაზე. ამ მოვლენების უკეთ გაგება გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე იქნება აშშ-სთვის ახალი და რეალისტური სტრატეგიის შემუშავებაში ტრანსფორმირებული თურქეთისა და მისი მეზობლების მიმართ.

თავი I. თურქეთის ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში ინტეგრაციის პროცესი

თურქეთი დემოკრატიული, უნიტარული, სეკულარული სახელმწიფოა და მისი პოლიტიკური სისტემა მუსტაფა ქემალ ათათურქის ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა.

თურქეთის რესპუბლიკა განეკუთნება მახლობელ აღმოსავლეთს, რომელიც ერთ-ერთი რთული რეგიონია კონფლიქტების სფეროში. გარდა ამისა, აღნიშვნის ღირსია თურქეთის დამოკიდებულება საბერძნეთთან და პრობლემები, რომლებიც არსებობს როგორც გარკვეულ ტერიტორიებთან, ისე კუნძულ კვიპროსის საკითხთან მიმართებაში. თურქეთისთვის ასევე პრობლემაა ქურთული სეპარატიზმის თემა. ამ ყველაფერს ემატება ისიც, რომ თურქეთი არის მუდმივად მშფოთვარე კავკასიის რეგიონის მეზობელი. სწორედ ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ რეგიონი, რომელშიც თურქეთი მდებარეობს საკმაო არასტაბილურობით გამოირჩევა, თუნდაც იმ ფაქტორის გათვალისწინებითაც, რომ აქ თავმოყრილნი არიან როგორც პროდასავლური, ისე ანტიდასავლური განწყობით გამორჩეული სახელმწიფოები.

თურქეთი საზღვაო სახელმწიფოს წარმოადგენს. ის არის ნახევარკუნძული, რომელსაც დასავლეთით ეგეოსის ზღვა აკრავს, ჩრდილოეთით შავი ზღვა, ხოლო სამხრეთით ხმელთაშუა ზღვა. დარდანელი, ბოსფორი და მარმარილოს ზღვა კი ერთიანობაში წარმოადგენენ სრუტეებს, რომლებსაც თურქეთი აკონტროლებს.

I და II მსოფლიო ომები, ასევე „ცივი ომი“ ფაქტობრივად გულისხმობდა ბრძოლას „ჰართლენდისთვის“ (შუაგული მიწები). მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებამ საბჭოთა კავშირის ამბიციები აღმოსავლეთ ევროპაზე საკმაოდ გაზარდა. აუცილებელი გახდა „ჰართლენდის“ გარშემო არსებული რიმლენდის ანუ ევროპის, ახლო აღმოსავლეთის, სამხრეთისა და სამხრეთ-დასავლეთ აზიის

კონტროლი. შესაბამისად, დიდი ყურადღება მიექცა თურქეთის გეოგრაფიულ და გეოპოლიტიკურ ფაქტორს, რომელიც საბოლოდ აღნიშნული სახელმწიფოს ნატოში გაწევრიანებით დასრულდა.

ამერიკული გეოპოლიტიკური სკოლის წარმომადგენლებს მიაჩნდათ, რომ ჰართლენდის განეიტრალებისთვის აუცილებელი იყო რიმლენდის კონტროლი აშშ-სა და დასავლეთის სახელმწიფოების მიერ, რაც საბოლოო ჯამში უზრუნველყოფდა საბჭოთა კავშირის შეჩერებას.[1]

1.1. ნატო-თურქეთის თანამშრომლობის ისტორია

თურქეთის რესპუბლიკაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია მეორე მსოფლიო ომმა, რომლის დროსაც დაპირისპირებული მხარეები ცდილობდნენ თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ თურქეთის სახელმწიფო თუ საზღვაო პროვილეგიები. გერმანიას გარკვეული მცდელობები ჰქონდა გადაებირებინა თურქეთი მის მხარეს, ასევე ინგლისი და საფრანგეთიც ცდილობდნენ თურქეთის ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობისა და მისი რესურსების გამოყენებას. საბოლოოდ, 1939 წლის 19 ოქტომბერს თურქეთს, ინგლისსა და საფრანგეთს შორის გაფორმებულ იქნა ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ვალდებულებებს იღებდნენ დახმარება გაეწიათ ერთმანეთისთვის ხმელთაშუა ზღვის რეგიონში აგრესიის შემთხვევაში. ამ ყველაფერს ხელი შეუწყო 1939 წლის 23 აგვისტოს საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის დადებულმა ურთიერთთავდაუსხმელობის პაქტმა, რომელიც „რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის“ სახელითაა ცნობილი.

თურქეთი მიუხედავად არსებული ხელშეკრულებებისა მუდმივად ცდილობდა გერმანიასთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას, აგრეთვე ყველა

[1] „თურქეთის გეოპოლიტიკა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან“, გვ.29-43, გვ.75-105 https://atsu.edu.ge/en/images/pdf/disertaciebi/disertacia_chigvaria.pdf?fbclid=IwAR0fD3Kn_AT3omZ8C5_lycY2Z2QD8DO3w3u9rb4e8395Fm6_G8Mri0W0b2c

ღონეს ხმარობდნენ რათა თავიდან აეცილებინათ გამანადგურებელ ომში ჩაბმა, სარგებლობდნენ რა „არასაომარი სახელმწიფოს“ სტატუსით.

თურქეთმა 1941 წლის 25 ივნისს ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, რეალურად კი ის ხელს უწყობდა ფაშისტურ გერმანიას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაში. მათ ომის მსვლელობისას შეძლეს ფაქტობრივი ნეიტრალიტეტის შენარჩუნება, ეს ყველაფერი კი ინგლისთან მოკავშირეობითა და გერმანიასთან მეგობრობით მოახერხეს. თურქეთის პრეზიდენტი და მთავრობა ცდილობდნენ ფრთხილი პოლიტიკით დაეღწიათ თავი შექმნილი რთული მდგომარეობიდან, რათა არცერთი მხარის სასარგებლოდ არ ჩართულიყვენ ომში. საბოლოოდ, მათ 1945 წლის 23 თებერვალს სიმბოლურად გამოუცხადეს ომი გერმანიასა და იაპონიას. ამგვარმა ქმედებამ კი თურქეთი სან-ფრანცისკოს კონფერენციაზე მოახვედა, ვინაიდან იგი ფორმალურად ანტიჰიტლერულ ძალას წარმოადგენდა და შესაბამისად, ქვეყანამ გაეროს წევრის სტატუსიც მოიპოვა. შეიძლება ითქვას თურქეთის მიერ გატარებული პოლიტიკა სწორი აღმოჩნდა ქვეყნისთვის, ვინაიდან მეორე მსოფლიო ომიდან მსუბუქი ჭრილობებით დააღწია თავი.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ საერთაშორისო სისტემაში ძალთა გადანაწილების ახალი სურათი შეიქმნა: ჩამოყალიბდა სოციალისტური ბანაკი, აზიისა და აფრიკის ქვეყნებში დაიწყო განმათავისუფლებელი მოძრაობები, დაიძაბა ურთიერთობები აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. 1946 წლიდან იღებს სათავეს „ცივი ომი“, რომელიც გულისხმობდა პერიოდს, როდესაც მსოფლიოს ორ ძირითად პოლუსს შორის არც ომი იყო და არც მშვიდობა.[2] აღნიშნული დაპირისპირება იდეოლოგიურ ხასიათს ატარებდა. „ცივ ომამდე“ საერთაშორისო სისტემა ევროცენტრისტული გახლდათ, ვინაიდან ევროპა მის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კი ერთგვარი ვაკუუმი შეიქმნა, სადაც ერთმანეთს არაევროპული ქვეყნები უპირისპირდებოდნენ. მართალია, გერმანული ფაშიზმი დამარცხდა, თუმცა

[2] სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი–ცნობარი / [სარედ.: ჯგუფი: ედუარდ კოდუა და სხვ. ; გამომც.: ლაშა ბერაია] - თბ. : ლოგოს პრესი, 2004, გვ. 351

დემოკრატიული სახემწიფოები უკვე ახალი საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ, რომელიც საბჭოთა კავშირიდან მომდინარეობდა - კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელება. საბჭოთა კავშირი ტოტალიტალურ სახელმწიფოს წარმოადგენდა. იგი მმართველობის ტირანულ ფორმებს ამკვიდრებდა თავისუფლების შეზღუდვით, სამოქალაქო, პოლიტიკური თუ სოციალური უფლებების ხელყოფით.

თურქეთი მძიმე მდგომარეობაში იყო, როგორც საშინაო, ისე საგარეო ფაქტორების გათვალისწინებითაც. საბჭოთა კავშირი მნიშვნელოვნად აფართოებდა გავლენის სფეროებს ევროპასა და აზიაში, თავად თურქეთის მიმართ კი აშკარად შეტევით პოლიტიკას ახორციელებდა. 1925 წლის 19 მარტს კრემლმა ცალსახად გააუქმა 1925 წლის 17 დეკემბერს თავდაუსხმელობისა და ნეიტრალიტეტის შესახებ დადებული შეთანხმება თურქეთთან, ასევე წამოჭრა თურქეთისთვის 1921 წლის მოსკოვის შეთანხმებით გადაცემული ქართული ტერიტორიების: ყარსის, ართვინისა და არტაანის უკან დაბრუნებისა და შავი ზღვის სრუტეებში საბჭოთა ბაზების შექმნის საკითხი. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მიწების დაბრუნების საკითს საქართველოსა და სომხეთში სიხარულით შეხვდნენ.

ცივი ომის პერიოდში როდესაც საბჭოთა კავშირი მის ექსპანსიონისტურ ზრახვებს აშკარად ავლენდა, თურქეთისთვის ეკონომიკური თუ უსაფრთხოების თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა დასავლეთთან ურთიერთობა. ნათელი იყო, რომ თურქეთი საბჭოთა კავშირთან გამკლავებას მარტო ვერ შეძლებდა. ამიტომაც დახმარებისთვის დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ს მიმართეს.

აშშ-ში მიიჩნევდნენ, რომ საბჭოთა კავშირსა და თურქეთს მათ შორის არსებული პრობლემები თავად უნდა გადაეწყვიტათ, მაგრამ ინგლისმა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საკმაოდ დასუსტებული იყო, დიდი როლი ითამაშა, რათა დაერწმუნებინა ამერიკა თურქეთისთვის დახმარების გაწევის აუცილებლობაში.

აშშ-ს იმ პერიოდისათვის ძირითადად ეკონომიკური მიზნები ამოძრავებდა, ბრიტანეთის პრიორიტეტები პოლიტიკური ხასიათის იყო და ერთ-ერთ წამყვან სახელმწიფოდ დარჩენა სურდა, ხოლო საბჭოთა სოციალური რესპუბლიკის მთავარ ამოცანას აღმოსავლეთ ევროპაში ბუფერის შექმნა და მსოფლიოში კომუნიზმის გავრცელება წარმოადგენდა.

აღნიშნულ დაპირისპირებაში თურქეთი დასავლეთის მხარეს აღმოჩნდა ჩართული. აშშ აშკარა დახმარებას უწევდა თურქეთს, რითაც სსრკ-ს აგრძნობინებდა, რომ არ დაუშვებდა სამხრეთისკენ მის ექსპანსიას.

ამ ყველაფრის ფონზე უდიდესი მნიშვნელობის მქონე აღმოჩნდა „ტრუმენის დოქტრინა“, რომელიც პირველ ოფიციალურ კონცეფციას წარმაოდგენდა „კომუნიზნის შეკავების“ სტრატეგიის ფარგლებში. 1947 წლის 12 მარტს აშშ-ს პრეზიდენტმა ჰარი ტრუმენმა კონგრესის საგანგებო გაერთიანებულ სხდომაზე გააკეთა მოხსენება, რომლითაც იგი დახმარებას აღუთქვამდა ისეთ ქვეყნებს, რომლებსაც საგარეო საფრთხე ემუქრებოდათ. ამგვარი ქვეყნები კი პირველ რიგში თურქეთი და საბერძნეთი იყვნენ. აშშ-მა ამ ქვეყნებისთვის სამხედრო, ეკონომიკური და პოლიტიკური დახმარების გაწევა დაიწყო, რადგან ისინი ნამდვილად იდგნენ საბჭოთა კავშირიდან მომავალი საფრთხის წინაშე.

1949 წელს თურქეთი მიღებულ იქნა ევროსაბჭოს წევრად. ამავე წლის 4 აპრილსვე მოხდა მსოფლიოს ისტორიაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა: ორმა ამერიკულმა და ათმა ევროპულმა სახელმწიფომ ჩამოაყალიბეს სამხედრო ალიანსი, „ჩრდილოატლანტიკური კავშირი“ - ნატო. ეს ორგანიზაცია უზრუნველყოფდა კოლექტიურ თავდაცვას და საფრთხის შემთხვევაში მისი წევრი სახელმწიფოების ბრძოლას მტრის წინააღმდეგ. იგი შეიქმნა, რათა ერთობლივად გაეწიათ წინააღმდეგობა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ექსპანსიონისტური ზრახვებისთვის.

თურქეთმა ნატოში წევრობის შესახებ განაცხადი პირველად 1950 წელს გააკეთა, ამას მოჰყვა მეორე განცხადებაც იმავე წელს. მართალია აშშ მხარს უჭერდა ნატოში მის წევრობას, მაგრამ დასავლეთ ევროპის ქვეყნები

საპირისპირო მოსაზრებებს აფიქსირებდნენ. თურქეთისთვის უმნიშვნელოვანესი აღმოჩნდა კორეის ომში ჩართვა, რითაც შეძლო შეემცირებინა სხვა ქვეყნების ნეგატიური დამოკიდებულება მისდამი.

აშშ-სა და დასავლეთ ევროპის მიმართ, დახმარების სანაცვლოდ მადლიერების გამოსახატავად თურქეთმა კორეის ომში აქტიური მონაწილეობა მიიღო. საქმე იმაშია, რომ კორეა ორად იყო გაყოფილი კაპიტულაციის შემდეგ. 1950 წელის ივნისში ჩრდ. კორეამ საბჭოთა კავშირის მხარდაჭერით წამოიწყო ლაშქრობა სამხრეთ კორეის წინააღმდეგ ქვეყნის მთლიანობის აღდგენის მოტივით, ერთიანი სახელწიფო კი კომუნისტური უნდა ყოფილიყო, რაც რა თქმა უნდა, დასავლეთისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. გაერომ ჩრდ. კორეას საომარი მოქმედებების შეწყვეტა მოსთხოვა, რასაც ჩრდილოეთის მხრიდან დაუმორჩილებლობა მოჰყვა. ამის შემდეგ კი გაერომ იქ სამხრეთ კორეისთვის დახმარების გასაწევად საერთაშორისო ძალები გაგზავნა.

კორეის ომში მონაწილეობა თურქეთმა მიიღო, როგორც გაეროს წევრმა სახელმწიფომ და გააგზავნა თურქული ბრიგადა სამხრეთ კორეაში. თურქული ბრიგადა იყო სწორედ ის თურქული არმიის ქვეითი ბრიგადა, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარდლობით მსახურობდა კორეის ომში 1950-1953 წლებში. თურქეთის რესპუბლიკამ უპასუხა გაეროს 83-ე რეზოლუციას, რომელიც მოითხოვდა სამხედრო დახმარებას სამხრეთ კორეაში, ჩრდ კორეის მიერ 25 ივნისს განხორციელებული თავდასხმის საპასუხოდ. თურქეთი მზად აღმოჩნდა ეკისრა ეს პასუხილმგებლობა. ის იყო მეორე ქვეყანა აშშ-შემდეგ, რომელმაც შესაბამისად უპასუხა გაეროს ამ თხოვნას. ისინი ამერიკელებისა და დასავლელი მოკავშირეების გვერდით იბრძოდნენ და დიდი ბრძოლისუნარიანობაც გამოამჟღავნეს.

სხვა გეოპოლიტიკურ მოვლენებთან ერთად აღნიშნულ ომში წარმატებით ჩართვა მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა 1952 წელს თურქეთის ნატოში გაწევრიანებისთვის. თურქეთისადმი ინტერესები მისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე კიდევ უფრო გაიზარდა. გადაწყვეტილება მისი

ნატოში წევრობის შესახებ 1952 წლის 15 სექტემმბერს იქნა მიღებული ნატოს მინისტრთა სხდომაზე, რომელიც ოტავაში გაიმართა. 1952 წელს კი თურქეთი ოფიციალურად გახდა ნატოს წევრი. თავის მხრივ თურქეთისთვისაც ნატოს წევრობა მნიშვნელოვანი საგარეო საფრთხის აცილების გარანტი გახდა.[3]

1.2. ნატო-თურქეთის თანამშრომლობის მექანიზმები და პროგრამები

თურქეთი, როგორც სტრატეგიული მოკავშირე ნატოსთვის მნიშვნელოვანი იყო იმდენად, რამდენადაც ეს ქვეყანა წარმოადგენს ევროპა-აზიის დამაკავშირებელ რგოლს. იგი ესაზღვრებოდა როგორც საბჭოთა კავშირს, ისე ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოებსაც. თუკი თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანა არ იქნებოდა, არსებობდა საფრთხე ის სსრკ-ს გავლენის ქვეშ მოქცეულიყო, რაც თავის მხრივ საფრთხის შემცველი იყო ნატოსთვის. ასევე აღსანიშნავია, რომ თურქეთი არის ერთადერთი ქვეყანა ნატოში, რომელსაც აზიური საწყისები, დასავლურ-ევროპული კულტურისაგან განსხვავებული ტრადიციები და კანონმდებლობები გააჩნია.[4]

თურქეთი აქტიურ მონაწილეობას იღებდა დასავლეთის მიერ ორგანიზებულ ქმედებებში ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების წინააღმდეგ.

1956 წლის ივლისში თურქეთმა გაილაშქრა ეგვიპტის მიერ სუეცის არხის ნაციონალიზაციის წინააღმდეგ და მხარი დაუჭირა ინგლის-საფრანგეთისა და ეგვიპტის ომს.

1958 წელს ანკარამ თანადგომა გამოუცხდა ინგლისსა და ამერიკას, როდესაც მათ ლიბანისა და იორდანიის წინააღმდეგ ინტერვენცია მოახდინეს.

---

[3] „თურქეთის გეოპოლიტიკა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან“, გვ. 88-105. https://atsu.edu.ge/en/images/pdf/disertaciebi/disertacia_chigvaria.pdf?fbclid=IwAR0fD3Kn_AT3omZ8C5_lycY2Z2QD8DO3w3u9rb4e8395Fm6_G8Mri0W0b2c

[4] გიორგი შავრეშიანი, “აშშ-თურქეთის პოლიტიკური ურთიერთობები თანამედროვე პერიოდში“, (სამაგისტრო ნაშრომი), კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბ. 2020 წელი, გვ.29 https://openscience.ge/bitstream/1/1630/1/Giorgi%20Shavreshiani%20Samagistro.pdf

1959 წლის მარტში ანკარასა და ვაშინგტონს შორის ორმხრივი სამხედრო შეთანხმება დაიდო, რომლის მიზანიც იყო გადაექცია თურქეთი მთავარ ატომურ-რეკეტულ ბაზად საბჭოთა კავშირის საზღვართან. ამ მიზნით ამ ტერიტორიებზე განლაგდა ამერიკული სამხედრო ძალები, სადაც ტექნიკასთან ერთად ამერიკელებმა შეიტანეს ბირთვული იარაღიც, რომელიც 1963 წლამდე თურქეთის ტერიტორიაზე ინახებოდა. შესაბამისად, თურქეთის საგარეო პოლიტიკაში 1945-1952 წლებში შეიცვალა დაინტერესება პოლიტიკური სივრცის მიმართ, რასაც მოჰყვა გეოპოლიტიკური ძვრები და დიდხანს არსებული ნეიტრალიტეტი პროდასავლური ვექტორით შეიცვალა.[5]

უკვე მოგვიანებით, 90-იან წლებში საერთაშორისო ვითარება განსხვავებული გახდა. სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვამ, საბჭოთა ჯარების გამოყვანამ ავღანეთიდან, კომუნისტური რეჟიმების დამხობამ აღმოსავლეთ ევროპაში და რაც მთავარია, თავად საბჭოთა კავშირის დაშლამ გამოიწვია ბიპოლარული სისტემის დასასრული.

საბჭოთა კავშირი, რომელსაც აშშ-ს პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა, თავის დროზე „ბოროტების იმპერია“ უწოდა, 1991 წელს ოფიციალურად დაიშალა. აღნიშნული ფაქტი XX საუკუნის 80-90-იან წლებში საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივ პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარმა პროცესებმა გამოიწვიეს. კომუნიზმთან ბრძოლაში ლიბერალურმა დემოკრატიამ გაიმარჯვა.

ცივი ომის დასრულების შემდეგ ორპოლუსიანი სამყარო ერთპოლუსიანი გახდა აშშ-ს დომინანტობით. დამარცხდნენ ავტორიტარული რეჟიმები, გავრცელდა ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებები. კაცობრიობის უმთავრეს მიზნად მსოფლიოში მშვიდობიანი საერთაშორისო ურთიერთობების დამკვირდება და ომების თავიდან არიდება იქცა.

მართალია ცივი ომი დასრულდა, სსრკ დაიშალა, თუმცა თურქეთის ნატოში წევრობა კვლავ უცვლელი დარჩა და ახლაც გრძელდება. როგორც წესი

[5] „თურქეთის გეოპოლიტიკა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან“, გვ.75-105 https://atsu.edu.ge/en/images/pdf/disertaciebi/disertacia_chigvaria.pdf?fbclid=IwAR0fD3Kn_AT3omZ8C5_lycY2Z2QD8DO3w3u9rb4e8395Fm6_G8Mri0W0b2c

გაერთიანებები, კოალიციები კონკრეტული მიზნის მისაღწევად იქმნება ხოლმე, ამ მიზნის მიღწევის შემდეგ კი მსგავსი კავშირები იშლებიან. ამ შემთხვევაში გამონაკლისს წარმოადგენს ნატო, რომელმაც დასახული მიზნების მიღწევის - საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც განაგრძო არსებობა და ევროპისა და ჩრდ. ამერიკის უსაფრთხოებას აერთიანებს. ალიანსს მტკიცე ნება ამოძრავებდა დაეცვა დემოკრატიული ღირებულებები, შესაბამისად, ალიანსში გაწევრიანება უსაფრთხოების მნიშვნელოვან გარანტს წარმოადგენდა. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის მე-5 მუხლის მიხედვით თავდასხმა ნატოს წევრ რომელიმე სახელმწიფოზე მოიაზრება თავდასხმად მთლიან ორგანიზაციაზე, რაც გულისხმობს კოლექტიურ თავდაცვას, პრინციპით: „ერთი ყველასთვის ყველა ერთისათვის“. წესდების ეს მუხლი მთელი ისტორიის მანძილზე მხოლოდ ერთხელ ამოქმედდა აშშ-ზე 2011 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმის შემდეგ და არცერთხელ არ დასჭირვებია ნატოს მისი ამოქმედება მაგალითად ცივი ომის მიმდინარეობისას. ეს ცხადყოფს, რომ ნატოს გააჩნდა და ახლაც გააჩნია შესაბამისი სამხედრო თუ ეკონომიკური პოტენციალი, რათა დაიცვას მისი წევრი ქვეყნების კეთილდღეობა.

ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი რის გამოც თურქეთი ნატოსა და აშშ-სთან ურთიერთობას ინარჩუნებდა 1990-იან წლებში იყო ეკონომიკური კავშირები, აგრეთვე ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, რომლებიც ქურთისტანის მუშათა პარტიასთან იყო დაკავშირებული. დიდი მნიშვნელობის მქონე იყო თურქეთი აშშ-სთვისაც. მართალია საბჭოთა კავშირი დაიშალა, მაგრამ ერაყთან ურთიერთობის დაძაბვის ფონზე გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე თურქეთს დიდი როლი დაეკისრა აშშ-სთვის სტრატეგიული თვალსაზრისით. ეს ყოველივე კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა ამერიკასა და ერაყს შორის მიმდინარე კონფლიქტში, სპარსეთის ყურის პირველი ომისას 1991 წელს.

აღნიშნულ დაპირისპირებაში თურქეთის მონაწილეობის შესახებ განსხვავებული შეხედულებები არსებობდა. მაგალითად, 1983 წლიდან სახელმწიფოს სათავეში მყოფი თურგუთ ოზალი მიიჩნევდა, რომ თურქეთს

ერაყთან ომში ამერიკული მხარისთვის უნდა დაეჭირა მხარი. იგი თვლიდა, რომ ამით თურქეთი ახლო აღმოსავლეთში საკუთარი გავლენის ზრდას შეძლებდა. მეორეს მხრივ, სამხედრო ელიტის მოსაზრებით კი ახლო აღმოსავლეთის საქმეებში თურქეთი არ უნდა ჩარეულიყო. საბოლოო ჯამში ისე მოხდა, რომ თურქეთის ტერიტორიაზე არსებული სამხედრო ბაზები გამოყენებულ იქნა აშშ-ს მიერ, თუმცაღა, თავად თურქეთის მხარეს უშუალოდ ომში მონაწილეობა არ მიუღია. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დაპირისპირების შედეგად ყველაზე დიდი ზიანი სწორედ თურქეთს მიადგა როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით. ამის პირველი მიზეზი გახდა აშშ-ს მიერ ერაყისთვის დაწესებული ემბარგო, რომელსაც აშშ-ს მოთხოვნით თავად თურქეთმაც დაუჭირა მხარი. მეორე მიზეზად კი შეგვიძლია დავასახელოთ დევნილების დიდი რაოდენობა ერაყის ქურთული ნაწილიდან, ვინაიდან ეს ფაქტი მძიმე ტვირთად დააწვა თურქეთის სახელმწიფოს.[6]

თურქეთი დღესაც აქტიურად მონაწილეობს ნატოს მისიებში, იბრძვის ISIS–ის წინააღმდეგ და აზიაში ნატოს პლაცდარმია ისლამურ სახელმწიფოსთან ბრძოლაში. ასევე შეუცვლელია მისი როლი ხმელთაშუა ზღვის პატრულირებისას მიგრანტების ნაკადების კონტროლისა თუ მათი გადარჩენის საკითხთან მიმართებაში. თურქეთი ალიანსის ერთ–ერთი ყველაზე აქტიური წევრია, თუმცა მისიებში მონაწილეობასთან ერთად ყველაზე ხშირად ის საჭიროებს სამხედრო დახმარებას. ჯერ კიდევ 90–იან წლებში, სპარსეთის ყურის კრიზისის დროს, თურქეთმა ითხოვა ირანისაგან მომდინარე საფრთხისაგან დაცვა, 2003 წელს კი მხარდაჭერა ერაყის ომისას უსაფრთხოების შესანარჩუნებლად. ამასთანავე, 2012 წელს სირიის სამოქალაქო ომის მიმდინარეობისას, თურქული მზვერავის ჩამოგდებისა და 5 სამოქალქო პირის მკვლელობის შემდგომ. 2013 წლის ბოლომდე, ნატომ განათავსა საავიაციო სამხედრო ბაზა თურქეთის სამ პროვინციაში: გერმანიამ–კაჰრამანმარაში, ნიდერლანდებმა –ადანაში, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კი – გაზიანტებში. ქვეყანამ ნატოსგან დახმარება 2014

[6] სანდრო ბაკურაძე, "თურქეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ორიენტირები ცივი ომის შემდგომ პერიოდში", კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი „კავკასიური სახლი", თბ.2020, გვ.2-16

წელსაც მიიღო, სირიის მხრიდან განხორციელებული მცირემასშტაბიანი შემოტევის პერიოდში.[7]

შესაბამისად, 1952 წელს ნატოში გაწევრიანების შემდეგ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მთავარ როლს თამაშობდა თურქეთის უსაფრთხოებაში და ხელი შეუწყოს მის ინტეგრაციას ევროატლანტიკურ საზოგადოებაში, სანაცვლოდ კი თურქეთმა წარმატებით აიღო თავისი პასუხიმგებლობა ალიანსის საერთო ღირებულებების დასაცავად.

1.3. თურქეთის მონაწილეობა ალიანსის მიერ წარმოებულ ოპერაციებში და სამხედრო თანამშრომლობა

ცივი ომის შემდეგ შექმნილმა ახალმა რეალობამ ალიანის ტრანსფორმაციის აუცილებლობა გამოიწვია. ნებისმიერი ქვეყნისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ნატოში ყოფნას იმ პრინციპებისა თუ ფასეულობების გათვალისწინებით, რაც ნატოს გააჩნია. ნატოსთვის უმთავრესია საერთაშორისო უსაფრთხოების დაცვა გლობარული თუ რეგიონული უსაფრთხოების კონტექსტში.

თურქეთი ცდილობს ნატოს მიერ მასზე დაკისრებული ამოცანებისა და ვალდებულებების შესრულებას. 68 წლიანი კავშირის განმავლობაში ნათლად გამოჩნდა მისი როლი მშვიდობისა და უსაფრთხოებსი სფეროში. აშშ-ს შემდეგ თურქეთს ნატოში ყველაზე დიდი შეიარაღებული ძალები ჰყავს, შესაბამისად ის აქტიურ მონაწილეობას იღებს ალიანსის მისიებში.

„SEDM“

1996 წელს, რეგიონალური ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაუმჯობესებისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გაძლიერების მიზნით შექმნილმა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვის მინისტერილმა (Southeastern Europe Defense Ministerial

[7] ანა თაბაგარი, სტატია "წარსული-აწმყო-მომავალი – ნატო-თურქეთის ურთიერთობები", 2017 წლის 3 იანვარი, (წაკითხვის თარიღი 07.06.2020), გვ.1
http://yata.ge/ge/?p=1216

Process-SEDM) დღემდე შეინარჩუნა რეგიონალური და საერთაშორისო მნიშვნელობა და ხილვადობა. იგი ბულგარეთის ქალაქ სოფიაში ჩამოყალიბდა აშშ-ის ინიციატივით. SEDM–ის წევრები არიან ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, ხორვატია, საბერძნეთი, იტალია, მაკედონია, მონტენეგრო, რუმინეთი, სერბეთი, სლოვენია, თურქეთი, უკრაინა და ამერიკის შეერთებული შტატები. მისი შექმნის დღიდან წევრთა და დამკვირვებელთა რაოდენობის ზრდა მასდამი ინტერესის ნიშანია. SEDM-ში მოლდოვა და საქართველო დამკვირვებლების სტატუსით მონაწილეობენ.

აღნიშნული ფორმატი ემსახურება სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობას, მონაწილე ქვეყნების ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციას, სოლიდარობისა და დემოკრატიული ღირებულებების საფუძველზე თანამშრომლობის განვითარებას და მნიშვნელოვან საკითხებზე ყველასათვის მისაღები გადაწყვეტილების მოძებნას. აგრეთვე SEDM-ის კონტექსტში ჩატარებულ საქმიანობებს შორისაა თანამშრომლობა სტიქიური უბედურებების დროს, საზღვრების უსაფრთხოება და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა.[8]

SEDM ინიციატივებს შორისაა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ბრიგადა (South Eastern Europe Brigade - SEEBRIG), რომელიც 1998 წელს შეიქმნა მრავალეროვნული სამშვიდობო ძალების სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის შეთანხმების (Multinational Peace Force South-Eastern Europe Agreement) შესაბამისად. SEEBRIG შეიქმნა, რომ ხელი შეუწყოს მშვიდობის შენარჩუნებასა და ჰუმანიტარული დახმარების ოპერაციებს, რომლებიც ნატოს ან ევროკავშირის, გაეროს ან ეუთოს ეგიდით ხორციელდება. SEEBRIG-ის მონაწილეები არიან ალბანეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი, იტალია, რუმინეთი, მაკედონია და თურქეთი. ბრიგადის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მისია იყო ქაბულის

[8] სტატია „სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვის მინისტერიალი“, (წაკითხვის თარიღი 01.06.2020), გვ.1
https://mod.gov.ge/ge/news/read/2116/south-eastern-europe-defence-ministerial

მრავალეროვნული ბრიგადის შტაბის ხელმძღვანელობა ISAF–ის პროგრამის ეგიდით ექვსი თვის განმავლობაში.

„BLACKSEAFOR“

თურქეთის ერთ-ერთი ინიციატივაა შავი ზღვის საზღვაო თანამშრომლობის სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელიც 2001 წელს ჩამოყალიბდა, შავი ზღვის ყველა ქვეყნის (ბულგარეთი, საქართველო, რუმინეთი, რუსეთის ფედერაცია, უკრაინა და თურქეთი) მონაწილეობით. აღნიშნული კავშირი ასევე ცნობილია „ბლექსიფორის“ (BLACKSEAFOR) სახელით. ინიციატივის მიზანია შავი ზღვის სანაპირო ქვეყნების საზღვაო ძალებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება, ურთიერთნდობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების გაუმჯობესება. BLACKSEAFOR–ის ამოცანები მოიცავს საძიებო და სამაშველო სამუშაოებს, ჰუმანიტარული დახმარების ოპერაციებს, გარემოს დაცვასა თუ სხვა ღონისძიებებს. დამატებითი დავალებების შესრულება შესაძლებელია ყველა მხარის შეთანხმების საფუძველზე. რეგულარულად ტარდება BLACKSEAFOR-ის მაღალი დონის ექსპერტთა ჯგუფის, ასევე BLACKSEAFOR-ის საზღვაო ძალების მეთაურების შეხვედრები. BLACKSEAFOR ასევე შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს გაეროს ან ეუთოს მანდატით წარმოებული ოპერაციებში.

ოპერაცია „შავი ზღვის ჰარმონია“ და „აქტიური ძალისხმევა”

თურქეთის საზღვაო ძალებმა დაიწყეს „შავი ზღვის ჰარმონიის“ ოპერაცია 2004 წლის 1 მარტს ტერორიზმის, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებისა და სხვა შესაძლო უკანონო მოქმედებების აღკვეთის მიზნით შავ ზღვაზე. 2006 წელს მოწვეულ იქნა ყველა შავი ზღვის სანაპირო სახელმწიფო, რათა მონაწილეობა მიეღოთ „შავი ზღვის ჰარმონიის“ ოპერაციაში. ოპერაციას შეუერთდნენ რუსეთის ფედერაცია, უკრაინა და რუმინეთი. ეს უსაფრთხოების ოპერაცია გულისხმობს საეჭვო გემების მონიტორინგს და იდენტიფიცირებას. ოპერაცია „შავი ზღვის ჰარმონია“ შესაბამისობაშია იმ მიზნებთან და ამოცანებთან, რაც გააჩნია ნატო-ს ოპერაციას „აქტიური ძალისხმევა ხმელთაშუა ზღვაში“. 2001 წლის ოქტომბრიდან ოპერაცია „აქტიური ძალისხმევის“ (Active

Endeavor) ფარგლებში ნატოს სამხედრო-საზღვაო ძალები, ხმელთაშუა ზღვის წყლებში პატრულირებენ. ისინი აკონტროლებენ გემების მიმოსვლას და გიბრალტარის სრუტეში თანხლებას უწევენ სავაჭრო გემებს. აქტიური ძალისხმევის მიზანია ხმელთაშუა ზღვის წყლებში ტერორისტული საქმიანობის გამოვლენა და დროული განეიტრალება.[9]

შეგროვებებული ინფორმაციების გაცვლა-გამოცვლა ხდება ნატოს ნეაპოლის შტაბსა და ოპერაცია „შავი ზღვის ჰარმონიის“ საკოორდინაციო ცენტრს შორის, რომელიც თურქეთში მდებარეობს.

ბოსნია-ჰერცოგოვინა

თურქეთი მონაწილეობს ყველა ოპერაციაში, რომელსაც ნატო-ს ხელმძღვანელობს ბალკანეთში 1995 წლიდან.

1992-1995 წლების განმავლობაში ნატო აქტიურად უჭერდა მხარს გაეროს ძალისხმევას რეზოლუციებისა და დიპლომატიური მოლაპარაკებების მეშვეობით ბოსნია-ჰერცეგოვინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების შეჩერებას. 1995 წლის 16 დეკემბერს ალიანსმა მიღწეული სამშვიდობო შეთანხმების განხორციელების პროცესზე დაკვირვების მიზნით, ბოსნია-ჰერცეგოვინაში ერთი წლით გაეროს მანდატის მქონე საერთაშორისო ძალები (საიმპლემენტაციო ძალები/Implementation Force – IFOR) განათავსა. დასახული ამოცანების შესრულების შემდეგ, 1996 წლის დეკემბერში საიმპლემენტაციო ძალებს ნატოს სტაბილიზაციის ძალები (Stabilization Force – SFOR) ჩაენაცვლა.[10]

თურქეთი აქტიურად უჭერდა მხარს როგორც IFOR-ის, ისე SFOR-ის მოქმედებებს ბოსნია-ჰერცოგოვინაში.

---

[9] ზურაბი ოთარაშვილი, ,,ნატოს სამშვიდობო ოპერაციები და მათი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა: კოსოვოს და ავღანეთის სამშვიდობო მისიების შედარებითი ანალიზი“, (სამაგისტრო ნაშრომი), კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბ.2018 წელი, გვ.19 https://openscience.ge/bitstream/1/57/1/Zurab%20Otarashvili.pdf

[10] ზურაბი ოთარაშვილი, ,,ნატოს სამშვიდობო ოპერაციები და მათი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა: კოსოვოს და ავღანეთის სამშვიდობო მისიების შედარებითი ანალიზი“, (სამაგისტრო ნაშრომი), კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბ.2018 წელი, გვ.16 https://openscience.ge/bitstream/1/57/1/Zurab%20Otarashvili.pdf

კოსოვო

ნატო 1999 წლის ივნისიდან ახორციელებს სამშვიდობო მისიას კოსოვოში. მშვიდობის დასამყარებლად და ჰუმანიტარული კატასტროფის აღსაკვეთად ნატომ იქ სამხედრო-საჰაერო კამპანია განახორციელა, რომელიც 1999 წლის 24 მარტს დაიწყო და 78 დღეს გაგრძელდა. ალიანსმა საჰაერო იერიშები მიიტანა იუგოსლავიის ხელისუფლების სამხედრო და გასამხედროებულ სტრუქტურებზე, ეს კი მას შემდეგ მოხდა, რაც ყველა ხელმისაწვდომი დიპლომატიური საშუალება ამოწურა და სამშვიდობო მოლაპარაკებებიც შედეგის მომტანი არ აღმოჩნდა. უკვე 1999 წლის 12 ივნისს, გაეროს მანდატის საფუძველზე, ნატომ რეგიონში კოსოვოს ძალები (Kosovo Force – KFOR) გაგზავნა. KFOR- ის ყოფნა კოსოვოში ძალზე მნიშვნელოვანია სტაბილურობისა და უსაფრთხოებისთვის არამარტო კოსოვოში, არამედ მთლიანად რეგიონშიც. კოსოვომ 2008 წელს თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა, რასაც მთელი რიგი ქვეყნების უკმაყოფილება მოჰყვა. ნატოს ოპერაცია კოსოვოში ახლაც გრძელდება. თურქეთი კი ამჟამადაც ჩართულია აღნშნულ ოპრეციაში. უფრო მეტიც, თურქეთმა გარკვეული დროით ასევე აიღო საკუთარ თავზე მრავალეროვნული სამუშაო ჯგუფის სამხრეთის (Multinational Task Force South - MNTF (S)) ხელმძღვანელობა.[11]

ნატოს ოპერაცია მაკედონიაში

თურქეთი მხარს უჭერდა ნატოს ოპერაციებს კოდური სახელწოდებით „მოკავშირეთა ჰარმონია“ და „მთავარი მოსავალი“. მაკედონიის რესპუბლიკის მთავრობამ თხოვნით მიმართა ნატოს, თავიდან აეცილებინათ მაკედონიის დედაქალაქის მთავრობასა და ეთნიკურ ალბანელ მეამბოხეებს შორის კონფლიქტის ესკალაცია. შესაბამისად, ნატოს ძალისხმევის შედეგად დაპირისპირებულ მხარეებს შორის დიალოგი შედგა. ოპერაცია მთავარი მოსავალის (Operation Essential Harvest) ფარგლებში ნატომ მაკედონიაში

[11] ზურაბი ოთარაშვილი, ,,ნატოს სამშვიდობო ოპერაციები და მათი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა: კოსოვოს და ავღანეთის სამშვიდობო მისიების შედარებითი ანალიზი“, (სამაგისტრო ნაშრომი), კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბ.2018 წელი,გვ.17 https://openscience.ge/bitstream/1/57/1/Zurab%20Otarashvili.pdf

სამხედრო მოსამსახურეთა პერსონალი შეიყვანა. აღნიშნული მისია უკვე 2003 წლიდან ევროკავშირმა გადაიბარა[12]

„ISAF“

ნატომ ოფიციალურად აიღო საერთაშორისო უსაფრთხოების დახმარების ძალების (ISAF) ხელმძღვანელობა ავღანეთში 2003 წლის 11 აგვისტოს, უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1386-ისა და ბონის კონფერენციის შესაბამისად, რომელიც 2001 წლის დეკემბერში ჩატარდა. ნატოს არსებობის ისტორიაში ალიანსის მისია ავღანეთში ყველაზე მასშტაბური სამხედრო ოპერაცია იყო ევროატლანტიკური სივრცის გარეთ. ISAF-ი წარმოადგენს საერთაშორისო სამხედრო კოალიციას, რომელშიც მსოფლიოს 50-მდე ქვეყანა და 110,000-მდე ჯარისკაცი მონაწილეობს. 2015 წლის 1 იანვრიდან დღემდე, ავღანეთის ისლამურ რესპუბლიკაში მიმდინარეობს ნატო-ს „მტკიცე მხარდაჭერის მისია“ (Resolute Support Mission - RSM), რომელიც სასწავლო და საკონსულტაციო ხასიათს ატარებს და ასევე მიზნად ისახავს ავღანელი სამხედროების დახმარებას. ნატოს მისიაში ავღანეთში აქტიურ მონაწილეობას იღებს თურქეთი. „2003 წლიდან თურქეთი ყოველთვის ასრულებს კონსტრუქციულ და მნიშვნელოვან როლს ნატო-ს ავღანეთის მისიაში. ვფიქრობ, ამ 16 წლის განმავლობაში, ნატომ, ისეთი ქვეყნების დახმარებით როგორიცაა მაგალითად, თურქეთი და რომელსაც დღემდე დიდი წვლილი შეაქვს მისიაში, იმაზე უფრო ეფექტური გახადა ავღანეთის უსაფრთხოების ძალები, ვიდრე ისინი იყვნენ 2003 წელს”- განაცხადა ალიანსის უმაღლესმა წარმომადგენელმა ქაბულში, სერ ნიკოლას ქეიმ, გამოცემა „Hürriyet Daily News“–სთვის მიცემულ ინტერვიუში. მისი თქმით თურქეთი, რომელიც თავიდანვე იყო ამ მისიაში ჩართული უზრუნველყოფს სამხედრო მომზადებას, ტრენინგებს, შესაბამის რჩევებსა და რეკომენდაციებს დედაქალაქი ქაბულისთვის. ამრიგად, მას დიდი როლი აქვს ავღანეთის უსაფრთხოების ძალების დახმარების საქმეში ქაბულის უსაფრთხოებისთვის, ეს კი თავის მხრივ

[12] ზურაბი ოთარაშვილი, ,,ნატოს სამშვიდობო ოპერაციები და მათი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა: კოსოვოს და ავღანეთის სამშვიდობო მისიების შედარებითი ანალიზი“, (სამაგისტრო ნაშრომი), კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბ.2018 წელი, გვ.18 https://openscience.ge/bitstream/1/57/1/Zurab%20Otarashvili.pdf

საშუალებას აძლევს საერთაშორისო თანამეგობრობის სხვა წევრებს განახორციელონ მოქმედებები მათ შორის ისეთი მნიშვნელოვან დაწესებულელებში როგორიცაა ქაბულის საერთაშორისო აეროპორტი დ ა.შ.

თურქეთი ხელმძღვანელობდა ISAF-II-ის სარდლობას 2002 წლის ივნისიდან 2003 წლის თებერვლამდე 1400 სამხედრო მოსამსახურით. თურქეთმა აიღო ასევე ISAF-VII სარდლობის ხელმძღვანელობა 2005 წლის თებერვალ-აგვისტოში და ამავე დროს პასუხისმგებლობა დაეკისრა ქაბულის საერთაშორისო აეროპორტზე. ISAF-VII ხელმძღვანელობის დროს თურქეთმა ავღანეთში განათავსა 1430 სამხედრო პერსონალი და სამი ვერტმფრენი. გარდა ამისა, თურქეთმა საკუთარ თავზე აიღო ქაბულის რეგიონალური სარდლობის დედაქალაქის (Kabul Regional Command Capital - RCC) კონტროლი საფრანგეთთან და იტალიასთან ერთად როტაციის პრინციპით 2006 წლის აგვისტოდან 2 წლის განმავლობაში. თურქეთი ხელმძღვანელობა RCC–ს აპრილ-დეკემბრის პერიოდში და რეგიონში 1200 სამხედრო პერსონალი განათავსა. უფრო მეტიც, ISAF-ის შტაბი გაძლიერდა დაახლოებით 150 ჯარისკაცით 2008 წლის აგვისტოდან 2009 წლის თებერვლის ჩათვლით.

თურქეთის პარლამენტის ყოფილი პრეზიდენტი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჰიქმეთ ჩეთინი 2004-2006 წლებში მუშაობდნენ ავღანეთში ნატოს უმაღლესი სამოქალაქო წარმომადგენლის თანამდებობაზე.

თურქეთმა RCC– ს ხელმძღვანელობა ერთწლიანი ვადით მიიღო 2009 წლის 31 ნოემბერს. ეს პასუხისმგებლობა მოკავშირეთა თხოვნით გაგრძელდა 2012 წლამდე. მნიშვნელოვანია თურქეთის წვლილი ფინანსური თვალსაზრისითაც, ასევე თურქეთი უზრუვნელყოფს სამხედო წვრთნებსა და სწავლებებს როგორც ავღანეთში, ისე თურქეთში ავღანეთის ეროვნული არმიის (Afghan National Army - ANA) წევრებისთვის.

ნატოს როლი ერაყში

ერაყში აშშ-ის ხელმძღვანელობით წარმოებულ მრავალეროვნული კოალიციური ჯარების სამხედრო ოპერაციაში ნატო, როგორც ორგანიზაცია, არ

მონაწილეობდა. მისი როლი შემოიფარგლებოდა ერაყელი სამხედრო მოსამსახურეების გაწვრთნით. 2004 წლის 28 ივნისს ნატოს სტამბოლის სამიტზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ერაყის მთავრობის სამხედრო პერსონალის გაწვრთნაში დახმარების შესახებ. იმავე წლის 30 ივლისსვე ნატოს წვრთნების საიმპლემენტაციო მისია ჩამოყალიბდა ერაყში. 2004 წლის 7 აგვისტოდან ნატოს მისია ერაყელი სამხედრო მოსამსახურეების წვრთნას ახორციელებს როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ნატოს წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე. ერაყის წვრთნების მისიაში (Iraq Training Mission - NTM-I) თურქეთიც მონაწილეობს და ხელს უწყობს ერაყის სტაბილიზაციის მცდელობებს თურქეთში ერაყის უსაფრთხოების ძალების მომზადებით. 2004-2006 წლების განმავლობაში ნატოს ამ მისიის ფარგლებში 5000-მდე ოფიცერმა აიმაღლა კვალიფიკაცია.[13]

ნატოს ბალტიის საჰაერო სივრცის კონტროლი

გადაწყდა, რომ ბალტიის ქვეყნებს და სლოვენიას როგორც ახალ მოკავშირეებს დახმარება სჭირდებოდათ მათი საჰაერო სივრცის დაცვაში. თურქეთმა აღნიშნული მისია 2006 წლის 1 აპრილიდან 31 ივლისის ჩათვლით განახორციელა ბალტიის ქვეყნების საჰაერო სივრცის გარშემო. ამ მისიის ფარგლებში ოთხი სწრაფი რეაგირების თვითმფრინავი (F-16) და დამხმარე პერსონალი განლაგდნენ ლიტვის შიაულიაის საერთაშორისო აეროპორტში.

თურქეთის შეიარაღებული ძალების მიერ განხორციელებულმა ამ მისიამ აჩვენა ალიანსის სოლიდარობა და ასევე ხელი შეუწყო ურთიერთობების შემდგომ გაუმჯობესებას ესტონეთთან, ლატვიასა და ლიტვასთან.

ნატოს ანტი-მეკობრული ოპერაციები

ნატო პასუხისმგებელია დაიცვას საერთაშორისო ვაჭრობა და საზღვაო რესურსები პოტენციური საფრთხისაგან, ვინაიდან ის წარმოადგენს მსოფლიო

[13] ზურაბი ოთარაშვილი, ,,ნატოს სამშვიდობო ოპერაციები და მათი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა: კოსოვოს და ავღანეთის სამშვიდობო მისიების შედარებითი ანალიზი“, (სამაგისტრო ნაშრომი), კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბ.2018 წელი, გვ.18-19 https://openscience.ge/bitstream/1/57/1/Zurab%20Otarashvili.pdf

უსაფრთხოების დამცველ ერთ-ერთ ყველაზე ქმედით მექანიზმს. დღესდღეობით მეკობრეობა სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს კაცობრიობისთვის.

ნატომ 2009 წლის მარტში სამხედრო-საზღვაო ოპერაცია "მოკავშირეთა დამცველი" დაიწყო. იგი ადენის ყურეში, ინდოეთის ოკეანესა და აფრიკის რქის (სომალის ნახევარკუნძული) გარშემო მიმდინარეობდა, მიზანს კი საერთაშორისო სატრანზიტო დერეფნის საზღვაო მარშრუტების მეკობრეთაგან დაცვა წარმოადგენდა. ოპერაცია "მოკავშირეთა დამცველის" წინამორბედი იყო ოპერაცია "მოკავშირეთა უზრუნველმყოფი", რომელიც 2008 წელს განახორციელა, ხოლო მისი დასრულების შემდეგ კი 2009 წლის 17 აგვისტოს ნატომ წამოიწყო ოპერაცია "ოკეანის ფარი".

ამ უკანასკნელში მონაწილეობას იღებს თურქეთიც. თურქეთი მხარს უჭერს ნატოს გრძელვადიან როლს მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლაში და აქტიურად მონაწილეობს ამ მიზნით მის მიერ განხორციელებულ ქმედებებში. "ოკეანის ფარი" მიმდინარეობდა ევროკავშირის ოპერაცია "ატალანტასთან" ერთად. მასში მონაწილეობას იღებდა "გაერთიანებული ოპერატიული ძალები 151", რომელსაც ამერიკა უწევდა ხელმძღვანელობას, ასევე ოპერაციაში იყვნენ ჩართულები სამხრეთ კორეა, იაპონია და ჩინეთი. ოპერაციის ხელმძღვანელობა წევრ სახელმწიფოებს ეკისრებოდათ მონაცვლეობით. 2015 წლის ოქტომბრიდან ხელმძღვანელობა საკუთარ თავზე თურქულმა ფრეგატმა TCG GEDIZ-მა აიღო.[14]

ლიბიის ოპერაცია

თურქეთმა დაიკავა თანმიმდევრული და პრინციპული დამოკიდებულება ლიბიის კრიზისის დაწყებისთანავე და განსაკუთრებით გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ საერთაშორისო ძალისხმევით ყურადღება უნდა გამახვილდეს მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ თავდასხმების პრევენციაზე და ცეცხლის შეწყვეტის შენარჩუნებაზე. ამ კონტექსტში, თურქეთმა მკაფიოდ განაცხადა, რომ ნატოს

[14] სოფიკო მენაბედიშვილი, სტატია „ნატო მეკობრეთა კვალდაკვალ", 2017 წლის 22 თებერვალი, (წაკითხვის თარიღი 01.06.2020), გვ.1
http://yata.ge/ge/?p=1322#more-1322

როლი ლიბიაში უნდა ემყარებოდეს თვალსაჩინო აუცილებლობას, იურიდიულ საფუძველს და რეგიონულ მხარდაჭერას.

გაეროს უშიშროების საბჭოს 1970 და 1973 რეზოლუციების შესაბამისად, ნატო ახორციელებდა შეიარაღების ემბარგოს და ფრენის ზონის მისიებს "ოპერაციების ერთიანი დამცველის" (Operations Unified Protector - OUP) სახელით. თურქეთმა OUP- ის ოპერაცია უზრუნველყო ფრეგატებით, წყალქვეშა ნავით, ორი სატანკო თვითმფრინავით და ოთხი F-16 გამანადგურებლით. ოპერაცია წარმატებით დასრულდა 2011 წლის 31 ოქტომბერს.

წვლილი ევროკავშირის ოპერაციებსა და მისიებში[15]

2000 წლის დასაწყისში ევროკავშირის ოპერაცია"კონკორდიაში" (იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა მაკედონიის სამხედრო ოპერაცია) და "პროქსიმაში" (ევროკავშირის საპოლიციო მისია იუგსლავიის ყოფილ რესპუბლიკა მაკედონიაში) მონაწილეობით თურქეთმა შეუწყო ხელი საერთაშორისო მშვიდობასა და სტაბილურობას.

თურქეთი ჯერ კიდევ ყოვლისმომცველ დახმარებას უწევს ევროკავშირის სამშვიდობო ოპერაციებსა და მისიებს, როგორიცაა ევროკავშირის სამხედრო ოპერაცია ბოსნია ჰერცეგოვინაში (EUFOR ALTHEA) და ევროკავშირის საპოლიციო მისია ბოსნია ჰერცეგოვინაში (EUPM), ასევე ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისია კოსოვოში (EULEX).

2004 წელს ნატო-ს სტამბულის სამიტზე მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, 2004 წლის ბოლოს ბოსნია-ჰერცეგოვინაში ნატო–ს SFOR ოპერაცია დასრულდა. ახალი და ცალკეული ოპერაცია სახელწოდებით EUFOR-ALTHEA ანუ ევროკავშირის სამხედრო ოპერაცია ბოსნია ჰერცეგოვინაში სწორედ ევროკავშირმა წამოიწყო, შესაბამისად იგი ნატოს SFOR და IFOR ძალების

[15] მაჩურიშვილი ნინო, „ევროკავშირის შესაძლებლობების შეფასება კონფლიქტების გადაწყვეტის სფეროში“, (სამაგისტრო ნაშრომი), ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ. 2009 წელი, (წაკითხვის თარიღი 01.05.2020), გვ.1-10

მემკვიდრედ გვევლინება. ამ თვალსაზრისით, თურქეთი მნიშვნელობას ანიჭებს იმის უზრუნველყოფას, რომ გადაწყვეტილებები მომავალი ოპერაციების შესახებ მიიღებ იქნას ევროკავშირსა და ნატოს შორის კონსულტაციების შემდეგ.

2011 წლის აგვისტოს მდგომარეობით, თურქეთი რიგით მეორე ძალა იყო, რომელიც მონაწილეობდა თითქმის 1650 კაციანი ძალით EUFOR Althea ოპერაციაში. დღეისათვის, თურქეთის წვლილი EUFOR-ALTHEA-ში დაახლოებით 300 პერსონალს შეადგენს.

ევროკავშირმა წამოიწყო კანონის უზენაესობის მისია კოსოვოში EULEX და ამით თანდათანობით აიღო კოსოვოში გაეროს მისის UNMIK-ის ამოცანები. ამჟამად თურქეთი მონაწილეობს ამ მისიაში 91-მდე პირადი შემადგენლობით. თურქეთი, აშშ–ს შემდეგ, ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებს შორის მისიის მეორე უდიდესი მონაწილე და წვლილის შემტანი სახელმწიფოა.

ევროპული ჟანდარმერული ძალები

2009 წლის 13 მაისს პარიზში, მაღალი დონის უწყებათაშორისი კომიტეტის (High Level Interdepartmental Committee - CIMIN) შეხვედრაზე, თურქეთი მოიწვიეს, რომ როგორც დამკვირვებლად შეუერთდეს ევროპის ჟანდარმერიის ძალებს (the European Gendarmerie Force - EGF), რომელიც მოიცავს საფრანგეთს, იტალიას, პორტუგალიას, ესპანეთს, რუმინეთს და ნიდერლანდებს. EGF-ის ფარგლებში თურქეთმა განათავსა ოპერაციის მონიტორინგისა და კომუნიკაციის გუნდი ავღანეთში.

თავი II. ნატო-თურქეთის ურთიერთობების გაუმჯობესებისა თუ გაუარესების პოლიტიკური ფაქტორები და შავი ზღვის აუზის მნიშვნელობა

შავი ზღვას უდიდესი სატრანსპორტო, სტრატეგიული და სამხედრო მნიშვნელობა გააჩნია. შავი ზღვის აკვატორია როგორც წესი ჩაკეტილ ზონად მიიჩნეოდა, გამომდინარე იქიდან, რომ მაგალითად თურქეთს შეეძლო ჩაეკეტა

დარდანელისა და ბოსფორის სრუტეები, რომლებსაც თავად აკონტროლებს და თავის დროზე საბჭოთა კავშირის სამხედრო ხომალდები ხმელთაშუა ზღვაში არ გაეშვა. დღეს არსებული ვითარება კი შეიძლება ითქვას განსხვავებულია იმ თვალსაზრისით, რომ რუსეთს შეუძლია შავი ზღვის აკვატორიიდან საფრთხე შეუქმნას ნატოს წევრ ევროპულ სახელმწიფოებს.

შავი ზღვა უკანასკნელი წლების განმავლობაში დასავლეთისა და რუსეთის შორის გეოპოლიტიკური დაპირისპირების ასპარეზად იქცა, მითუმეტეს, რომ იგი საერთაშორისო მნიშვნელობის სამხედრო-ეკონომიკურ არტერიას წარმოადგენს.

2.1. ნატოს გეოპოლიტიკური ინტერესები შავი ზღვის აუზის ქვეყნებისადმი

შავი ზღვა აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელ ერთგვარ დერეფანს წარმოადგენს. ცივი ომის პერიოდში მხარეებს შორის გავლენის მოპოვება შავი ზღვის რეგიონზე აქტიურად მიმდინარეობდა. იგი აღიქმებოდა ჩაკეტილ სივრცედ და ძირითადი დომინანტი აქ იყო საბჭოთა კავშირი, ასევე ბულგარეთის და რუმინეთის სამხედრო საზღვაო ძალები. რაც შეეხება თურქეთს, მისი მოქმედებები, გამომდინარე იქედან, რომ ნატოსა და დასავლეთის მოკავშირედ აღიქმებოდა, შედარებით შეზღუდული იყო.

ნატოს ინტერესები შავი ზღვის მიმართ რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული. მათ შორის განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა ამ რეგიონში, ტერორისტული საფრთხეების არსებობა, ასევე ენერგეტიკული უსაფრთხოება და ა.შ

ნატომ ვარშავის სამიტზე გააჟღერა სურვილი შავ ზღვაზე გააქტიურების შესახებ, რასაც თავისთავად უარყოფითი პასუხი მოჰყვა რუსეთის მხრიდან. ალიანსი ცდილობს გააძლიეროს კავშირები შავი ზღვის სანაპირო სახელმწიფოებთან, რომელთაგან სამი - რუმინეთი, თურქეთი და ბულგარეთი

ნატოს წევრია, ორი ქვეყანა - უკრაინა და საქართველო მისი პარტნიორი, ხოლო ერთი, რუსეთი კი მასთან დაპირისპირებული.

რუსეთის ხელისუფლება დაუშვებლად მიიჩნევს რეგიონში არსებული ქვეყნების დემოკრატიზაციის პროცესს, მათ თანამშრომლობას ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციასთან. ამ მიზნით იგი არ ერიდება აგრესიული ქმედებების განხორციელებას, შესაბამისად, ქმნის და ინარჩუნებს კონტროლს რეგიონში არსებულ მწვავე კონფლიქტებზე. თავის მხრივ კი რუსეთის პოლიტიკა და მისი დომინანტობა საფრთხის შემცველია როგორც კონკრეტულად ამ რეგიონისთვის, ისე ნატოსა და მთელი ევროატლანტიკური სივრცისთვის.

რუსეთის მიერ განხორციელებული პროვოკაციული ქმედებები რისკის შემცველია ნატოს წევრი სახელმწიფოებისთვის, სწორედ ამიტომ აღნიშნული ორგანიზაცია აქტიურ ძალისხმევას იყენებს რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად. ალიანსი ამავე მოტივითვე დიალოგს აწარმოებს საქართველოსთან და უკრაინასთანაც, მითუმეტეს, რომ რუსეთი იყენებს ოკუპირებული აფხაზეთისა და ანექსირებული ყირიმის საკითხს საკუთარი ინტერესების გასატარებლად. ნატომ შავ ზღვას განსაკუთრებული ყურადღება სწორედ აფხაზეთის ოკუპირებისა და ყირიმის ანექსიის ფაქტების გაცნობიერების შემდეგ მიაქცია, ვინაირან რუსეთის მიერ დაკავებული ტერიტორიების მძლავრ სამხედრო ბაზებად ქცევა თავის მხრივ ნატოსაც უქმნის უდიდეს საფრთხეს.

2016 წლის ნატოს ვარშავის სამიტზე მიღებულ იქნა კომუნიკე, რომელშიც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შავი ზღვის რეგიონს და რუსეთის მისამართით ხაზგასმულია, რომ ის ახორციელებს პროვოკაციულ ქმედებებს. ნატოს ვარშავის სამიტზე მიღებული განცხადებების მე-10 პუნქტში აღნიშნულია, რომ რუსეთი იყენებს შავი ზღვის აუზში არსებულ პოტენციალს აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვაში საკუთარი ძლიერების დემონტრირებისთვის, ხოლო 23-ე პუნქტში

ნათქვამია, რომ უსაფრთხოების კუთხით ბოლო წლებში მდგომარეობა შავ ზღვაზე გაუარესებულია.

რუსეთმა სწრაფად დაიწყო შავი ზღვის გადაიარაღება, შესაბამისად შეიარაღებაშია ხუთი სადარაჯო ხომალდი, ხუთი დიზელძრავიანი წყალქეშა ნავი, ერთი სარაკეტო კრეისერი, რვა დიდი სადესანტო ხომალდი, ექვსი სარაკეტო კატორღა და მცირე სარაკეტო ხოლმდი, ასევე 40-ზე მეტი სხვადასხვა ტიპის დამხმარე მცურავი საშუალება. რუსეთის შავი ზღვის ფლოტის შემადგენლობაშია საზღვაო ავიაციის ორი პოლკი და მათგან ერთი - საფრონტო ბომბდამშენების.[16]

ამ ფაქტორების გათვალისწინებით რუსეთი კვლავ რჩება ანგარიშგასაწევ ძალად. მის საპირწონედ ზოგი თურქეთს მიიჩნევს, მაგრამ ექსპერტების შეფასებით, თურქეთმა და რუსეთმა გარკვეული საერთო ენა გამონახეს, რაც შეიძლება დამატებითი პრობლემის მომტანი იყოს ნატოსთვის, რათა გაატაროს საკუთარი ინტერესები აღნიშნულ რეგიონში.

შავი ზღვის რეგიონი ეკონომიკური და ენერგეტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვანია თურქეთისთვისაც. ეს მნიშვნელობა კიდევ უფრო მეტად გაიზარდა 1990-იანი წლებიდან ენერგეტიკული დერეფნების, ცისფერი ნაკადის მისლადენისა და მომავალი ენერგო მარშუტების გათვალისწინებით. ასევე ქვეყნისთვის პრიორიტეტულია ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების კონტროლი. თურქეთისთვის პოლიტიკის განსაზღვრა რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებზეც არის დამოკიდებული.

თურქეთი თავად იღებს მონაწილეობას რეგიონში არსებული კონფლიქტების მოგვარებაში. ასევე უნდა ავღნიშნოთ ბისეკის ანუ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის შექმნის ინიციატივა, რომელიც 1925 წლის 25 ივნისს ჩამოყალიბდა. მისი მთავარი მიზანია მრავალმხრივი

---

[16] ირაკლი ალადაშვილი, სტატია „ნატო VS რუსეთი - შავი ზღვა დაპირისპირების ახალ კერად იქცევა?“ 2016 წლის 18 ივლისი (წაკითხვის თარიღი 09.06.2020), გვ.1 https://www.kvirispalitra.ge/samkhedro-thema/30687-nato-vs-rusethi-shavi-zghva-dapirispirebis-akhal-kerad-iqceva.html

პოლიტიკური და ეკონომიკური ინიციატივების მხარდაჭერა, წევრი სახელმწიფოების კეთილდღეობისა და სტაბილურობის, ასევე წევრ ქვეყანათა შორის ინტეგრაციის, ჰარმონიული თანაარსებობის წახალისება შავი ზღვის რეგიონში.[17]

როგორც ზემოთ უკვე ავღნიშნეთ, 2001 წელს თურქეთმა წამოიწყო პროგრამა „ბლექსიფორი“(BlACKSEAFOR), რომელიც სამხედრო-საზღვაო ოპერატიულ ჯგუფს წარმოადგენს და რომელიც შემდგომ „შავი ზღვის ჰარმონიით“ გაძლიერდა. ამას შედეგად მოჰყვა ნატოს როლის შემცირება შავ ზღვაზე, თუმცა სირიაში არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, თურქეთი დამოკიდებულია ნატოს „პატრიოტის“ საჰაერო თავდაცვის სისტემებზე. შესაბამისად, იგი აგრძელებს თანამშრომლობას როგორც რუსეთთან, ისე ნატოსთან.

„ბლექსიფორის“ მთავარი მიზანი იყო ხელი შეეწყო შავი ზღვის საზღვაო ზონაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობისთვის, გაეძლიერებინა მეგობრობა და კეთილმეზობლური ურთიერთობები რეგიონულ სახელმწიფოებს (ბულგარეთი, რუმინეთი, უკრაინა, რუსეთი და საქართველო) შორის, გაეზადა ამ ქვეყნების საზღვაო ძალებს შორის ურთიერთქმედება. „ბლექსიფორმა“ მისი შექმნის დღიდან ჩაატარა რამდენიმე ერთობლივი საზღვაო წვრთნა. ასევე თურქეთის ინიციატივით შეიქმნა საზღვაო ოპერაცია 2004 წელს გაეროს უშიშროების საბჭოს 1373, 1540 და 1566 რეზოლუციებით, რომლის მიზანიც იყო ტერორიზმისა და ასიმეტრიული საფრთხეების შეჩერება შავ ზღვაში.

თურქეთის პოზიციები შავ ზღვაში ასევე განმტკიცებულია მონტროს კონვენციით. შესაბამისად, ნატოს ყოფნას შავ ზღვაში ისეთი ფაქტორი უშლის ხელს, როგორიცაა 1936 წლის 20 ივლისს, შვეიცარიის ქ. მონტროში ხელმოწერილი კონვენცია. აღნიშნული კონვენცია 9 ნოემბრიდანვე ამოქმედდა და განსაზღვრავს შავი ზღვის სრუტეებით სარგებლობის წესებს. დოკუმენტის

---

[17] „შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია (BSEC)“, წაკითხვის თარიღი 11.06.2020). გვ.1
https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/MultilateralRelations/BSEC.aspx

ხელმომწერები არიან საბჭოთა კავშირი, დიდი ბრიტანეთი, თურქეთი, საფრანგეთი, იუგოსლავია, ბელგია, რუმინეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი, იაპონია, ავსტრალია და იუგოსლავია.

მონტროს კონვენციით, ნებისმიერი სახელმწიფოს სავაჭრო გემებს მინიჭებული აქვთ შავი ზღვის სრუტეებით თავისუფლად სარგებლობის უფლება როგორც მშვიდობიან, ისე საომარ ვითარებაში. თუმცაღა აქ გამონაკლისს წარმოადგენენ იმ ქვეყნის გემები, რომლებიც თურქეთთან საომარ მდგომარეობაში იმყოფებიან. (მუხლი მე-2-7). გარკვეული შეზღუდვებია დაწესებული სამხედრო გემებისთვის. ეს ძირითადად ეხება არაშავიზღვისპირა სახელმწიფოებს. მათ აქვთ შესაძლობლობა მშვიდობიან პერიოდში შავ ზღვაში შემოიყვანონ არაუმეტეს 45 ათასი ტონა წყალწყვის გემებისა და იყოლიონ იქ მაქსიმუმ 21 დღის განმავლობაში (მუხლი მე-18). ეს შეზღუდვა არ მოქმედებს შავიზღვისპირა ქვეყნებისთვის. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მონტროს კონვენციის მოქმედი რედაქცია შეიცავს გარკვეულ შეზღუდვებს საომარი ვითარების დროს შავი ზღვის სრუტეებით სარგებლობისას (მუხლი მე-19-21). ეს იმაში გამოიხატება, რომ ისინი საიმედოდ იცავენ თურქეთის ინტერესებს, ეს კი მაშინ როცა ნაკლებად ან საერთოდ არ იცავენ დანარჩენი შავიზღვისპირა სახელმწიფოების, მათ შორის თურქეთის მოკავშირეების ინტერესებს. კონვენცია აიძულებს ხმელთაშუა ზღვაში დისლოცირებული ამერიკის საზღვაო ძალების მეექვსე ოპერატიული ფლოტის სათანადო კლასის გემებს შავ ზღვაში შემოვიდნენ მხოლოდ როტაციის წესით. არსებობს მოსაზრებები მონტროს დოქტრინაში გარკვეული ცვლილებების შესატნის შესახებ, რათა მოიხსნა არსებული შეზღუდვები. პროცედურულად მასში შესწორებების შეტანა შესაძლებელია, ვინაიდან, ყოველ 20 წელიწადში ხდება კონვენციის მოქმედების ვადის გახანგრძლივება. [18]

[18] ჯემალ გამახარია (აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე), სტატია“შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხები და მონტროს კონვენცია (კონვენციის მე - 80 წლისთავისთვის)“, (წაკითხვის თარიღი 17.04.2020), გვ.1
https://scara.gov.ge/ka/2011-09-08-07-44-18/824--80-.html?fbclid=IwAR2cCgXzcqk1bf7KmtHYnaxoe57FAs_0Ex9eNXsT2X-l7uW09Xs_JBnpJIo

თურქეთი ასევე მხარს უჭერს საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრიანებას, რაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება რუსეთის გავლენის სფეროების შესამცირებლად შავ ზღვაზე.

მართალია, თურქეთ-რუსეთის თანამედროვე ეტაპზე განვითარებული ურთიერთობები აღფოთების საფუძველს იძლევა დასავლეთისთვის, თუმცა ფაქტია, რომ თურქეთი კვლავაც მნიშვნელოვან სტრატეგიულ პარტნიორს წარმოადგენს ნატოსთვის.

2.2 თურქეთ-რუსეთის ურთიერთობის გავლენა ნატო-თურქეთის ურთიერთობაზე

თურქეთსა და საბჭოთა კავშირს შორის ყოველთვის არსებობდა პოლიტიკური თუ ეკონომიკური თანამშრომლობა, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ თურქეთის პოლიტიკური ელიტა ცივი ომის პერიოდში ერთ-ერთი ყველაზე ანტიკომუნისტურად განწყობილი ძალა გახლდათ. უკვე სსრკ-ს დაშლის შემდეგ კავშირები რუსეთთან თურქეთის მიერ ქვეყნის სათავეში მყოფი თურქგუთ ოზალის პოლიტიკით წარიმართებოდა, რაც თავის მხრივ თურქეთის გავლენის ზრდას გულისხმობდა ახლო აღმოსავლეთში, შუა აზიაში, ბალკანეთსა თუ კავკასიაში. რუსეთი კი ამ საკითხისადმი ნეგატიურად იყო განწყობილი. თურქეთის ინტერესებით იყო განპირობები მისი ქმედებები, რომ მხარდაჭერა გამოუცხადა ბოსნიელებსა და ალბანელებს, მხარი დაუჭირა ჩეჩნებს ჩეჩნეთის ომშიც, რასაც საპასუხოდ რუსეთის მიერ ქურთისტანის მუშათა პარტიისადმი სოლიდარობის გამოცხადება მოჰყვა. ასევე, თურქეთს ჰქონდა მცდელობები დაეყოლიებინა შიდა აზიის თურქული სახელმწიფოები, რომ გადასულიყვნენ საერთო თურქულ ანბანზე და ა.შ

მიუხედვად კონკრეტული საკითხებისადმი განსხვავებული დამოკიდებულებისა თანამშრომლობა თურქეთსა და რუსეთს შორის კვლავ

გრძელდება. ამის პირველი უმთავრეზი მიზეზი თურქეთის ენერგეტიკული რესურსებით სიღარიბეა. საბჭოთა კავშირისგან ბუნებრივი აირის შესყიდვა თურქეთმა 1984 წელს დაიწყო, სსრკ-ს დაშლის შემდეგ ეს რაოდენობა კიდევ უფრო მეტად გაიზარდა. უკვე 2003 წელს ექსპლუატაციაში შევიდა ლურჯი ნაკადის გაზსადენი, რომლითაც თურქეთი რუსეთისთვის ერთ-ერთი უმსხვილესი კლიენტი გახდა. ამის შემდეგ დღის წესრიგში დადგა თურქული ნაკადის საკითხი. საქმე იმაშია, რომ რუსეთი სამხრეთის ნაკადის გაზსადენის მეშვეობით ცდილობდა ევროპისკენ ახალი გაზმიმწოდებელი დინება გაეხსნა, მაგრამ რუსეთმა უკვე შემდგომში ყირიმის ანექსია განახორციელა, რის გამოც ევროპის სახელმწიფოებმა მის მიმართ სანქციები აამოქმედეს. რუსეთი ალტერნატიული გზების ძიებას შეუდგა და თურქეთთან დაიწყო ამ საკითხზე მოლაპარაკებები, რის შედეგადაც 2020 წლის იანვარში თურქული ნაკადი ექსპლუატაციაში შევიდა. ამ მოლაპარაკებებისთვის ხელი არ შეუშლია 2015 წელს სირიის საზღვართან თურქეთის მიერ რუსული თვითმფრინავის ჩამოგდებას. თურქეთის საბრძოლო თვითმფრინავმა თურქეთ-სირიის საზღვარზე რუსეთის ავიაგამანადგურებელი ჩამოაგდო, რის გამოც რუსეთმა თურქეთს სანქციები დაუწესა, უვიზო მიმოსვლის რეჟიმი შეაჩერა და სამხედრო კონტაქტები გაწყვიტა, ასევე რუსეთი თურქეთისგან ბოდიშის მოხდას ითხოვდა. უკვე შემდგომში თურქი მაღალჩინოსნები აცხადებდნენ, რომ ერდოღანმა წერილობითი ფორმით გამოხატა მწუხარება და სინანული პილოტის გარდაცვალების გამო. მოლაპარაკებებისთვის ხელი არ შეუშლია არც ორ ქვეყანას შორის არსებულ დაძაბულ სიტუაციას და რუსეთის ელჩის მკვლელობას თურქეთში, რაც მხარეებმა სხვა დაინტერესებული პირების პროვოკაციულ ქმედებად ჩათვალეს.

თურქული ნაკადის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ რუსეთმა შეძლებისდაგვარად დაარეგულირა თურქეთსა და დასავლეთის სახელმწიფოებს შორის ენერგეტიკული პოლიტიკის გატარებით მიღებული შედეგები. მითუმეტეს, იმ ფონზე როდესაც, მაგალითად, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ან

შაჰდენიზის ნავთობსადენებმა თურქეთს ალტერნატიული საშუალებები შესთავაზეს.

თურქეთსა და რუსეთს გააჩნიათ მნიშვნელოვანი ეკონომიკური ურთიერთობები ტურიზმის თუ სოფლის მეურნეობის, ექსპორტ-იმპორტის მიმართულებით. რაც შეეხება პოლიტიკურ ურთერთობებს, ძირითადი უკმაყოფილება თურქეთის მხრიდან აშშ-ს მიმართ უკავშირდება იმას, რომ იგი სირიელ ქურთებს უჭერს მხარს, ქურთების მიერ ნებისმიერი წინ გადადგმული ნაბიჯი კი თურქეთის მიერ დიდი საფრთხედ აღიქმება. ამით იყო გამოწვეული თურქეთისა და რუსეთის სამხედრო თანამშრომლობაც S-400 ტიპის ანტისარაკეტო სისტემებთან დაკავშირებით.

2009 წლის აგვისტოში გამართულ შეხვედრაზე ვლადიმერ პუტინმა და თურქეთის პრეზიდენტმა რეჯეფ თაიფ ერდოღანმა თანამშრომლობის გაღრმავების თაობაზე ისაუბრეს. ისინი აცხადებდნენ, რომ მზად იყვნენ მოლაპარაკებებზე სამხედრო ტექნიკის მიყიდვაზე, ასევე მათი ერთობლივად წარმოებაზე. საქმე ძირითადად ეხებოდა Su-35 საბრძოლო თვითმფრინავსა და S-400 ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსს.

მრავალდარგოვანი ზემანევრირებადი ავიაგამანდგურებელი Su-35 არის მოდიფიკაცია Su-27-ის და იგი საჰაერო თავდაცვითი გაუმჯობესებული გამანადგურებელია, რაც შეეხება საზენიტო-სარაკეტო კომპლექს S-400-ს, ის როგორც პატერსონის დიპლომატიის სკოლის პროფესორი რობერტ ფარლი აღნიშნავს, განკუთვნილია ბარიერების შემქმნელი თვითმფრინავების, ბალისტიკური რაკეტების, მზვერავი, ასევე სტრატეგიული, ტაქტიკური ავიაციის თვითმფრინავებისა და საჰაერო თავდასხმის სხვა თანამედროვე საშუალებების გასანადგურებლად. [19]

ამ უკანასკნელის განთავსების გამო აშშ-მა თურქეთი ამერიკული F-35 ტიპის საბრძოლო თვითმფრინავების პროგრამიდან მოხსნა. როგორც თურქეთის

[19] "5 ტიპის რუსული საბრძოლო იარაღი, რომლისაც ნატოს ეშინია - ამერიკელი სპეციალისტის რეიტინგი", 2016 წლის 16 მარტი, (წაკითხვის თარიღი 21.05.2020), გვ1. http://intermedia.ge

პრეზიდენტი აცხადებდა, გარდა S-400 ტიპის ანტისარაკეტო სისტემის განთავსებისა, მხარეები ასევე S-500 ტიპის საჰაერო თავდაცვის სისტემზე ერთობლივ მუშაობასაც გეგმავდნენ, ეს ყველაფერი კი F-35 საბრძოლო თვითმფრინავების პროგრამაში მონაწილეობას არ დაემუქრებოდა.

საქმე კი იმაშია, რომ აშშ დაუშვებლად მიიჩნევს S-400 ტიპის ანტისარაკეტო სისტემისა და F-35 ტიპის თვითმფრინავების ერთად განლაგებას. მათი შეხედულებით ეს იქნება საფრთხის შემცველი, ვინაიდან არსებობს ალბათობა, რომ რუსეთი შეძლებს ინფორმაციის მოპოვებას თვითმფრინავების სისტემაზე.

F-35 ამერიკის სამხედრო ალიანსში არსებული ყველაზე განვითარებული საბრძოლო თვითმფრინავია. აღნიშნული ტიპის თვითმფრინავებს ნატოსა და აშშ-ს მოკავშირეები იყენებენ, შესაბამისად მათ მიაჩნიათ, რომ რუსული სარაკეტო სისტემა ნატოს სტანდარტებთან სრულებით შეუთავსებელია. სწორედ ამ მიზეზით მოუწოდებენ თურქეთს უარი თქვან რუსული საბრძოლო ტექნიკის შეძენაზე.

აღსანიშნავია, რომ თურქეთი F-35 ტიპის თვითმფრინავების 900-ზე მეტ ნაწილს აწარმოებს. იმ შემთხვევაში კი თუ ამერიკა თურქეთს მოხსნის F-35 ტიპის საბრძოლო თვითმფრინავების პროგრამიდან, მისი ჩანაცვლება აშშ-ს 500-დან 600 მილიონ დოლარამდე დაუჯდება. ასევე შეჩერდება თურქი პილოტების გადამზადების პროგრამაც და თურქეთი ვეღარ მიიღებს F-35 ტიპის 100 თვითმფრინავს, რომლის შესახებაც შეთანხმება უკვე არსებობდა. [20]

ამერიკის პრეზიდენტმა, დონალ ტრამპმა, 2019 წლის 16 ივლისს ოფიციალურად განაცხადა, რომ თურქეთი აღარ არის ავიაგამანადგურებლების პროგრამაში და შესაბამისად, აღარ მიჰყიდიდა F-35 ტიპის მოერიშე-ბომბდამშენებს. ტრამპის ამ განცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე, 4 ივლისს კი ერდოღანმა განაცხადა, რომ

[20] " პუტინმა და ერდოღანმა შეხვედრაზე Su-35 საბრძოლო თვითმფრინავების ყიდვაზე ისაუბრეს", 2019 წლის 28 აგვისტო, (წაკითხვის თარიღი 21.05.2020), გვ.1. https://commersant.ge/ge/post/putinma-da-erdoganma-shexvedraze-su-35-sabrdzolo-tvitmfrinavebis-yidvaze-isaubres?fbclid=IwAR2vAnS_R7RicHZKZq7vgaRyCCdzt_cKIngtkH6LTatc3-ivJQl4dvGR_XU

აშშ-ს ქმედება იყო ყაჩაღობის ტოლფასი, რადგან თურქეთს 1,4 მლრდ აშშ დოლარი უკვე ჰქონდა გადახდილი ავიაგამადგურებლებში და 4 თვითმფრინავი უკვე მის მფლობელობაში იმყოფებოდა. [21]

აღსანიშნავია, რომ რუსეთი და თურქეთი თანამშრომლობენ ისეთ სფეროებში, როგორიცაა ენერგეტიკა, თავდაცვა ან ვაჭრობა, თუმცაღა მათ შორის ურთიერთობის დაძაბვას იწვევს, მაგალითად, სირიაში მიმდინარე მოვლენები, გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ ისინი მოწინააღმდეგე მხარეებს უჭერენ მხარს. საქმე იმაშია, რომ ორივ მხარის სამხედრო ძალები საკუთარი ინტერესებით მოქმედებენ. რუსეთის ფედერაცია მხარს ბაშარ ალ ასადის რეჟიმს უჭერს, თურქეთი კი ამ რეჟიმის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი ძალებისკენაა. ეს ყველაფერი კი იმ ფონზე, როდესაც უკანასკნელ ხანებში რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობის ახალი ფაზა დაიწყო.

მიუხედვად ყველაფრისა თანამშრომლობის საზღვრები ორ ქვეყანას შორის მკაფიოდ გამოიკვეთა როცა 2020 წლის თებერვალში რუსეთის ავიაციამ იდლიბის პროვინციაში თურქეთის ჯარის პოზიციები დაბომბა, ეს კი მას შემდეგ მოხდა, რაც თურქებმა სცადეს შეეკავებინათ სირიის ხელისუფლების წინსვლა აღნიშნულ პროვინციაში. ქალაქ იდლიბში საჰაერო თავდასხმისას 29 ჯარისკაცი გარდაიცვალა. აღნიშნული ქალაქი სირიული ოპოზიციის "უკანასკნელ ბასტიონად" არის წოდებული და როგორც თურქული მხარე იუწყებოდა საჰაერო იერიში "სირიის (ბაშარ ალ ასადის) რეჟიმის" მიერ იყო განხორციელებული. თურქეთის არმიამ საპასუხოდ სირიის ხელისუფლების პოზიციებს შეუტია. სირიული ძალები, რომლებსაც ზურგს რუსეთი უმაგრებს, ცდილობდნენ ქალაქი იდლიბი წაერთმიათ აჯანყებულებისთვის, რომლებსაც თავის მხრივ თურქები უჭერენ მხარს. გამოცემა "გარდიანი" იუწყებოდა, რომ თურქეთი თავდასხმებში

[21] " საით მიდის თურქეთი - რუსული ს-400-ის შემდეგ რუსულივე სუ-35", 2019 წლის 13 აგვისტო, (წაკითხვის თარიღი 21.05.2020), გვ.1.
https://commersant.ge/ge/post/sait-midis-turqeti-rusuli-s-400-is-shemdeg-rusulive-su-35?fbclid=IwAR0UBMCN_E8pb_icAOlzCocC7clGEl_sanNaA_TjjhPZ9JbLC5xeMBHj4cw

ასადის რეჟიმს ადანაშაულებდა, თუმცა იდლიბში მათი წყაროები ადასტურებდნენ, რომ თავდასხმა რუსეთის ძალებმა განახორციელეს.

საკუთარი პოზიცია ჰქონდა ამ საკითხებთან მიმართებაში ნატოს, რომელმაც დაგმო აღნიშნული საჰაერო თავდასხმა: "ეს მოვლენები უჩვენებს თურქეთს თუ ვინ არის მისი სანდო პარტნიორი და ვინ არა" - განაცხადა აშშ-ს ელჩმა ნატოში, შესაბამისად, ამერიკამ კიდევ ერთხელ მოუწოდა თურქეთს უარი ეთქვა რუსეთის სარაკეტო თავდაცვის სისტემის შესყიდვაზე. ვაშინგტონი უკვე დიდი ხანია აკრიტიკებდა მას, რადგან მიაჩნია, რომ ეს დასავლურ ალიანსს შეასუსტებს.[22]

ნატო მხარდაჭერას უცხადებს თურქეთს სირიაში მიმდინარე მოვლენების ფონზე, შესაბამისად ნატოს გენერალური მდივანი აცხადებდა, რომ გმობს "სირიის რეჟიმისა და რუსეთის მხრიდან საჰაერო თავდასხმებს იდლიბის პროვინციაში". თავდასხმიდან მალევე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა მევლუთ ჩევუსოღლუმ კონსულტაციები მოითხოვა, რის საფუძველზეც შეიკრიბა ჩრდილოატლანტიკური საბჭო. ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების მეოთხე მუხლის თანახმად, ნატოს ნებისმიერ წევრს აქვს უფლება მოიწვიოს კონსულტაციები იმ შემთხვევში თუ მათი აზრით დარღვეული იქნა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, ხელყოფილ იქნა დამოუკიდებლობა ან თუ მათი უსაფრთხოება რისკის ქვეშაა. აღნიშნული საბჭო გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი ორგანოა. სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ ნატო აგრძელებს თურქეთის მხარდაჭერას სხვადასხვა გზით, მათ შორის საჰაერო თავდაცვის გაძლიერებითაც. რუსეთს და ასადის რეჟიმს კი მოუწოდა, რომ შეწყვიტონ

[22] "სირია: იდლიბზე თავდასხმისას თურქეთის 29 ჯარისკაცი მოკლეს", ავტ.ლუკა პერტაია, 2020 წლის 2 თებერვალი, (წაკითხვის თარიღი 22.05.2020), გვ.1. https://netgazeti.ge/news/430477/?fbclid=IwAR3UgLQBizEf2krnMZ-qCq54NQAwTDB0KmEs-fuiHVaZiPMG2JPAg3VCFKs

თავდასხმა, პატივი სცენ საერთაშორისო სამართლს და მხარი დაუჭირონ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გაეროსეულ მცდელობებს.[23]

იდლიბის პროვინციაზე თავდასხმის შემდეგ, თურქეთმა რუსეთი შეთანხმების დარღვევაში დაადანაშაულა. ერდოღანი აცხადებდა, რომ რუსეთი არ იცავს არც ასტანის და არც სოჭის შეთანხმებებს, საპასუხოდ კი იერიში სირიულ ობიექტებზე მიიტანა. "ის ვინც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს ჩვენს განზრახვებს მალე გაიგებს, რომ შეცდომა დაუშვა" - ამბობდა ერდოღანი. მან აგრეთვე გააფრთხილა რუსეთი არ ჩაერიოს მის საქმეებში: "არ დადგეთ ჩვენს გზაზე"- განაცხადა თურქეთის პირველმა პირმა.[24]

შეგვიძლია ვთვათ, რომ თურქეთსა და რუსეთს შორის გადაუჭრელი პრობლემები არსებობს სირიის საკითხთან მიმართებაში. აგრეთვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს ლიბიის საკითხიც, რომელშიც თურქეთი ტრიპოლის ხელისუფლებას უჭერს მხარს, რუსეთი კი ლიბიის ეროვნულ არმიას. აქედან გამომდინარე, არსებობს მთელი რიგი საკითხებისა, რომელთა მიმართებაშიც ამ ორი სახელმწიფოს ინტერესები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან.

2.3. თურქეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკა და აშშ-ს ფაქტორი

აშშ-თურქეთის თანამშრომლობა განსაკუთრებით აქტიურად 1952 წლიდან დაიწყო, როდესაც თურქეთი ნატოს წევრი გახდა. ორივე სახელწიფოს მთავარ მიზანს საბჭოთა კავშირის ექსპანსიონისტური ზრახვების შეკავება წარმოადგენდა, შესაბამისად, მათი მოკავშირეობრივი პოლიტიკა კარგად მიმდინარეობდა, თუმცაღა ადგილი ჰქონდა გარკვეულ გამონაკლის ფაქტებსაც.

---

[23] " ნატო აგრძელებს თურქეთის მხარდაჭერას – სტოლტენბერგი იდლიბში თავდასხმის შემდეგ", ავტ. ლუკა პერტაია, 2020 წლის 28 თებერვალი, (წაკითხვის თარიღი 22.05.2020), გვ.1. https://netgazeti.ge/news/430639/?fbclid=IwAR2tXbh9iXEzxNUtw_UJvA6tyH1jeJ-4B7LWfWWa7Qi_LekYOkiw6AVn45k

[24] "სირიაში რუსეთ-თურქეთის დაპირისპირების გავლენა საქართველოზე", ავტ. ნიკა ბურდული, 2020 წლის 3 თებერვალი, (წაკითხვის თარიღი 23.05.2020), გვ.1. https://netgazeti.ge/news/424126/?fbclid=IwAR3lkJVQ3CAmV3I66x6PoO36IZt7TV0PTVuGwDGknw-U6pUZGbXCR7R2jVo

დიდი ხნის განმავლობაში ვაშინგტონი და ანკარა შეთანხმებულ საგარეო-პოლიტიკურ კურსს ატარებდნენ, შესაბამისად თურქეთი აშშ-ს ერთ-ერთი მთავარი მოკავშირე გახდა ახლო აღმოსავლეთში ისრაელთან ერთად.

საკმაოდ მრავალმხრივი იყო მხარეებს შორის თანამშრომლობა 1990-2010 წლებში. პირველ რიგში აღსანიშნავია სამხედრო კავშირები, ვინაიდან თურქეთი F-16-ის პროგრამაში ჩაერთო, ასევე თურქეთი გახდა ამერიკული წარმოების საბრძოლო მასალებისა თუ იარაღის აქტიური მომხმარებელი. თავის მხრივ ამერიკაც მხარდაჭერას უცხადებდა თურქეთს ქურთისტანის მუშათა პარტიის წინააღმდეგ ბრძოლაში, აგრეთვე ამერიკამ მნიშვნელოვანი როლი იკისრა 1999 წელს ქურთისტანის მუშათა პარტიის ლიდერის აბდულა ოჯალანის დაკავების ოპერაციაში. თავად თურქები აშშ-ს როლზე ამ ოპერაციაში ნაკლებად ამახვილებენ ყურადღებას, მაგრამ არათურქული საინფორმაციო წყაროები ამაზე ხაზგასმით საუბრობენ.

აშშ-სა და თურქეთს შორის თანამშრომლობის სივრცეს 1990-იანი წლებისთვის ბალკანეთი წარმოადგენდა. მაგალითად, თურქეთი მხარდაჭერას უცხადებდა ალბანელებსა და ბოსნიელებს, ასევე ერთ-ერთი იმ სახელმწიფოთაგანია, რომელმაც კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარა. უკვე 2002 წლიდან ქვეყნის სათავეში მოვიდა „სამართლიანობისა და აღმავლობის პარტია“, რომლის ლიდერი რეჯეფ თაიფ ერდოღანი 2003 წელს ჯერ პრემიერ-მინისტრი გახდა, 2014 წლიდან კი უკვე ქვეყნის პრეზიდენტია. ახალმა ხელისუფლებამ თითქოს ოფიციალურად დაიწყო ლიბერალური, გლობალისტური, ადამიანების უფლებების დაცვისკენ მიმართული პოლიტიკის გატარება, რაც რასაკვირველია, აშშ-ს მხარდაჭერით სარგებლობდა. შესაბამისად, ახალი პოლიტიკური ძალა აქტიურად ცდილობდა აშშ-სთან ურთიერთობის გაღრმავებასა და ევროკავშირში ინტეგრაციის პოლიტიკის გატარებას.

მთელი ამ ურთიერთობის მანძილზე იყო კრიზისული ეტაპებიც, მაგალითად 2003 წელს ამერიკელმა სამხედროებმა ერაყის ქურთისტანის ქ.სულეიმანში დააკავეს თურქი სპეცრაზმელები, რომლებიც ერთ-ერთი

გავრცელებული ვერსიით კირკუკის გუბერნატორის მკვლელობას გეგმავდნენ, რასაც დიდი არეულობა უნდა გამოეწვია, ამით კი თურქები შეძლებდნენ მოემზადებინათ ნიადაგი სამხედო ინტერვენციისთვის. თურქული მხარე დიდ პრობლემად მიიჩნევდა იმას, რომ სადამ ჰუსეინის ხელისუფლების დამხობის შემდეგ ერაყის ქურთისტანი იურიდიულად ავტონომიური გახდა.

არსებობს ასევე სხვა ფაქტებიც, რომლებმაც მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება მოახდინეს თურქეთ-ამერიკის ურთიერთობებზე. პირველი ამ ფაქტორთაგან არის თურქეთის დამოკიდებულება ირანთან, რომელსაც აშშ-მა 2010-იან წლებში ეკონომიკური სანქციები დაუწესა. უკვე შემდგომში აღმოჩნდა, რომ თურქეთი ვაჭრობდა ირანთან, ასევე ეხმარებოდა ბუნებრივი რესურსების გაყიდვით მიღებული შემოსავლების გადატანაში მის სახელმწიფოში. ამგვარი ქმედებით კი თურქული მხარე არღვევდა ირანის წინააღმდეგ ამოქმედებულ სანქციებს.

უკვე საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, განსაკუთრებით კი მას შემდეგ რაც თურქეთის სათავეში "სამართლიანობისა და აღორძინების პარტია" მოვიდა, თურქეთმა ახლო აღმოსავლეთის რეგიონში საკუთარი დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება დაიწყო, რაც რა თქმა უნდა, წინააღმდეგობაში მიდიოდა აშშ-ს ინტერესებთან. არსებობს გარკვეული საკითხები, რომლებიც დაძაბულობას ქმნის ამ სახელმწიფოებს შორის და ხელს უშლის ურთიერთობის განვითარებას.

აშშ-სა და თურქეთს შორის ურთიერთობების გართულება შეიძლება ითქვას, რომ 2016 წლის ივლისში თურქეთში განხორციელებული სამხედრო გადატრიალების მცდელობიდან დაიწყო. გამოძიება ჯერ კიდევ არ არის დასრულებული, თუმცა თურქეთის ხელისუფლებამ გადატრიალების მცდელობაში ამერიკაში მცხოვრები რელიგიური ლიდერი ფეთჰულა გიულენი და მისი მიმდევრები დაადანაშაულა, შესაბამისად, აშშ-ს მისი თურქეთში ექსტრადიცია მოსთხოვა.

ფეთულაჰ გიულენი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიანი მუსლიმი ლიდერია, რომელიც 1999 წლიდან აშშ-ში ცხოვრობს და სოციალურ

მოძრაობა „ჰიზბეთს“ ხელმძღვანელობს. იგი თავის მისიას ხედავს აღმოსავლეთისა და დასავლეთის დაახლოებაში, მხარს უჭერს სხვადასხვა აღმსარებლობის ერებს შორის მიმტეველებლობას, ურთერთგაგებისა და დიალოგის აუცილებლობას. გიულენი მსოფლიოში აღიარებულია მოაზროვნე ლიდერად და შეიძლება ითქვას, რომ ზოგჯერ თურქეთის არაოფიციალურ სამოქალაქო-რელიგიურ ლიდერადაც მოიხსენიებენ. გიულენი და ერდოღანი თავდაპირველად ერთად მოქმედებდნენ ოპონენტების წინააღმდეგ. შეიძლება ითქვას მათი დაპირისპირების რეალური მიზეზი უცნობია, თუმცა განსაკუთრებით ხაზს მათ განსხვავებულ დამოკიდებულებას უსვამენ კონკრეტული საკითხებისადმი. ანკარაში აშშ-ს ყოფილი ელჩი ფრანსის რიჩიარდონე აღნიშნავდა, რომ გიულენზე ჩივილებით თურქეთმა აშშ-ს მიმართა, მაგრამ რაიმე მტკიცებულება, რომ „ჰიზმეთი“ ტერორისტული დაჯგუფებაა ვერ წარადგინა. აშშ-ს ყოფილმა ელჩმა განაცხადა: „როდესაც ჩემთან ანკარაში თურქეთის ხელისუფლების ოფიციალური პირები მოდიოდნენ და ფეთულაჰ გიულენის შესახებ მესაუბრებოდნენ მე მათ ასე ვპასუხობდი - მაჩვენეთ ამერიკის ან თურქეთის კანონმდებლობის მიხედვით დანაშაულის ჩადენის რაიმე მტკიცებულება, ძალადობრივი დანაშაული, ფულის გათეთრება, ადამიანით ვაჭრობა, ან სხვა რომელიმე დანაშაული“. დღემდე ოფიციალურ შეხვედრებზე მთავრობის არცერთ მაღალჩინოსანს გიულენის ასეთი ბრალდებები არ უხსენებია, მის ნაცვლად კი თურქეთის ხელისუფლება მას მხოლოდ „უცნაურ“ ბრალდებებს უყენებს“.[25] აღნიშნული მოთხოვნა ამერიკას დღემდე არ დაუკმაყოფილებია.

თურქეთის უმაღლესი თანამდებობის პირები იმუქრებოდნენ, რომ ამერიკა-თურქეთის ურთიერთობები გაფუჭდებოდა, იმ შემთხვევაში თუ ამერიკული მხარე თურქეთის მოთხოვნას არ დააკმაყოფილებდა გიულენის ექსტრადიციაზე.

---

[25] ემზარ მაკარაძე, „თურქეთის საშინაო პოლიტიკა 2000-2015 წლებში“, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (აღმოსავლეთ მოცდნეობის დეპარტამენტი), გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ.2016 წელი, გვ.48-55

ურთიერთობის დაძაბვის გამოხატულება გახლდათ თურქეთის მიერ ინჯირლიკის სამხედრო ბაზისთვის საჰაერო სივრცის დახურვაც, რამაც თავის მხრივ შეზღუდა აშშ-ს ავიაგამანადგურებლების ოპერაციები სირიაში ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ. ”თურქეთის მთავრობამ დახურა მისი საჰაერო სივრცე სამხედრო თვითმფრინავებისთვის და შედეგად, ამ დროისთვის შეჩერებულია საჰაერო ოპერაციები. აშშ-ს ოფიციალური პირები მუშაობენ თურქებთან, რათა განახლდეს საჰაერო ოპერაციების ჩატარება რაც შეიძლება მალე”- განაცხადა პენტაგონის პრესმდივანმა პიტერ კუკმა 2016 წლის ივლისში.

ზოგადად ინჯირლიკის საჰაერო ბაზა არაერთხელ გამხდარა მხარეებს შორის დაპირისპირებისას მსჯელობის საგნად. მაგალითისათვის, თურქეთის მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა აშშ-ს სენატის მიერ სომეხთა გენოციდის შესახებ რეზოლუციის მიღებას. 2019 წლის დეკემბერში გაკეთებული განცხადებების საფუძველზე თურქეთი გეგმავდა, რომ მის სახელმწიფოში მდებარე ინჯირლიკის სამხედრო-საჰაერო ბაზა დაეხურა, რაც რა თქმა უნდა, დიდი დარტყმა იქნებოდა აშშ-სთვის. თავად თურქეთი სომეხთა გენოციდს კატეგორიულად უარყოფს და აშშ-ს სენატის მიერ მიღებული რეზოლუციის საპასუხოდ აცხადებს, რომ ოსმალეთის იმპერიაში მცხოვრები სომხები პირველი მსოფლიო ომის დროს სამხედრო მოქმედებების შედეგად დაიღუპნენ. ინჯირლიქის ბაზა ცივი ომის პერიოდიდან მოყოლებულია ცნობილი და მას დიდი მნიშნელობა ენიჭება ოპერაციული მოქმედებების, საჰაერო დანაყოფების გადასროლისა და საჰაერო დაზვერვისთვის. ამ ბაზით განსაკუთრებით ამერიკელები სარგებლობენ და მისი მეშვეობით ხმელთაშუა ზღვის აკვატორიის თავზე თავისუფალი გასვლა შეუძლიათ.[26]

მას შემდეგ რაც თურქეთმა გიულენის გადაცემაზე უარი მიიღო, ამ ურთიერთობისა და დაძაბულობის გაგრძელებად შეგვიძლია მივიჩნიოთ

[26] “დიდი გეოპოლიტიკური ცვლილებების ზღვარზე - თურქეთი აშშ-ს ინჯირლიკის ბაზის დახურვით ემუქრება“, ავტ. თამარ შუკვანი, 2019 წლის 16 დეკემბერი, (წაკითხვის თარიღი 24.05.2020), გვ.1
http://resonancedaily.com/index.php?id_rub=8&id_artc=84891&fbclid=IwAR1TaMZigqACIHqNzlDUdwIqRC9YqJmjptbwkBOX5KgtalZSzXp1t0wvPvc

„მღვდელ ბრანსონის საქმეც“. ამერიკელი პროტესტანი მღვდელი ენდრიუ ბრანსონი თურქულმა მხარემ 2016 წელს დააკავა. მას ბრალად ედებოდა ჯაშუშობა, გადატრიალების მხარდაჭერა, კავშირი ქურთისტანის მუშატა პარტიასთან და გიულენისტებთან. ბევრი თვლიდა, რომ ბრანსონის თემას ერდოღანი აშშ-ზე ზემოქმედებისთვის იყენებდა, რათა მათთვის ფეთჰულა გიულენი გადაეცათ. ამაზე ის განცხადებაც მოწმობს, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტმა ამ თემასთან დაკავშირებით გააკეთა: „მოგვეცით მღვდელი, წაიყვანეთ მღვდელი“. თურქეთმა უამრავი გაფრთხილების მიუხედავად ბრანსონი პატიმრობაში დატოვა, ამას კი აშშ-ს მხრიდან მწვავე რეაქცია მოჰყვა. ამერიკამ თურქეთის მიმართ სანქციები დააწესა, რის შედეგადაც თურქეთი იძულებული გახდა ბრანსონი გაეთავისუფლებინა. სანქციებმა ქვეყანაში ეკონომიკური თუ ინფლაციური კრიზისი გამოიწვია.

სიტუაცია დაიძაბა, მაშინაც როდესაც საუდის არაბეთის საკონსულოში, სტამბოლში ჯამალ ხაშოგჯი მოკლეს. იგი თურქული წარმოშობის არაბი ჟურნალისტი იყო და როგორც ცნობილია საუდის არაბეთის დაზვერვასთან თანამშრომლობდა. გავრცელებული ინფორმაციით, ის საუდის არაბეთის დაზვერვის თანამშრომლებმა მოკლეს, აშშ-მა კი სწორედ საუდის არაბეთს დაუჭირა მხარი, რაც თავის მხრივ თურქეთის გაღიზიანების მიზეზი გახდა.

აშშ-სა თურქეთს შორის არსებული კონფრონტაციული მდგომარეობის განელება ვერც დონალდ ტრამპის ამერიკის ხელისუფლებაში მოსვლამ მოახერხა. საქმე იმაშია, რომ თებერვლის ბოლოს თურქმა სამართალდამცავებმა დააკავეს ჰამზა ულუჯაი, რომელიც თურქეთის სამხრეთით მდებარე ქალაქ ადანაში აშშ-ის საკონსულოში მუშაობდა და რომელიც 36 წლის განმავლობაში საკონსულოს მთარგმნელი იყო. მას ბრალად ტერორისტულ ორგანიზაცია ქურთისტანის მუშათა პარტიასთან (PKK) თანამშრომლობა ედებოდა. მოგვიანებით იგი გაათავისუფლეს, თუმცა თავად ფაქტი თურქეთის მხრიდან ერთგვარი სიგნალს წარმოადგენდა აშშ-ს ახალი ადმინისტაციისთვის.

ერდორანის პირველი ოფიცილური ვიზიტისას დონალდ ტრამპთან ვაშინგტონში, ადგილი ჰქონდა კიდევ ერთ ინციდენტს, რომელიც ნამდვილად აღნიშვნის ღირსია. თურქეთის პრეზიდენტის პირადმა დაცვამ ვაშინგტონში არსებულ თურქეთის საელჩოსთან ქურთი დემონსტრანტები დაარბია და მათ ფიზიკურად გაუსწორდა. მოგვიანებით, აგვისტოს ბოლოს ამერიკულმა სასამართლომ მომხდარზე პასუხისმგებლობა ერდოღანის უსაფრთხოების სამსახურს დააკისრა. თურქეთის პრეზიდენტმა აღნიშნულ ფაქტს სკანდალი უწოდა, თავად ამერიკა კი „ფეტოსა“ და PKK-ს წევრების მფარველობაში დაადანაშაულა, შესაბამისად, ერდოღანის რიტორიკა აშშ-ის წინააღმდეგ კიდევ უფრო გამწვავდა.

მხარეებს შორის დაპირისპირების საგანია სირიის კონფლიქტიც, უფრო კონკრეტულად კი სირიაში მოქმედი ქურთული სამხედრო დანაყოფები. ამერიკა და თურქეთი ბაშარ ალ-ასადის რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლი დასავლური კოალიციის წევრები იყვნენ. უკვე შემდგომში სიტუაცია შეიცვალა. შეიძლება ითქვას, მხარეებმა ასადის რეჟიმის შეცვლის შესაძლებლობა და სურვილი დაკარგეს. მთავარი ისლამური ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა გახდა. ასევე გაჩნდა ინტერესთა კონფლიქტი.

საქმე იმაშია, რომ სირია 2019 წლის მდგომარეობით გაყოფილია სამ ძირითად ნაწილად. ერთია სირიის პრეზიდენტის ბაშარ ასადის მიერ კონტროლირებადი ტერიტორია. მეორეა სირიის ჩრდილოეთით, თურქეთის საზღვართან მნიშვნელოვანი ტერიტორია, რომელიც აშშ-ს მოკავშირე ქურთულ ძალებს აქვთ დაკავებული, ხოლო მესამეა სირიის ტერიტორიის მცირე ნაწილი, რომელსაც თურქეთის შეიარაღებული ძალები და სირიელი მეამბოხეები აკონტროლებენ. PKK ანუ ქურთების მუშათა პარტია არის ორგანიზაცია, რომელიც 1983 წელს შეიქმნა და ბრძოლა დაიწყო თურქეთის სახელმწიფოს წინააღმდეგ. შესაბამისად თურქეთი მას როგორც ტერორისტულ ორგანიზაციას ისე განიხილავს. PKK ტერორისტულ ორგანიზაციად აქვს აღიარებული ევროკავშირსა და აშშ-საც. თურქეთი YPG-ს ანუ სირიაში მოქმედ „ხალხთა დაცვის რაზმებსაც“ მიიჩნევს „ქურთების მუშათა პარტიასთან“

დაკავშირებულად. თუმცაღა როგორც რონდელის ფონდის მკვლევარი ზურა ბატიაშვილი აღნიშნავს იმ ნაწილში, რომ YPG ტერორისტული ორგანიზაციაა თურქეთს არ ეთანხმება ამერიკის შეერთებული შტატები. YPG-„ხალხთა დაცვის რაზმები“ დღეისათვის ცნობილია სახელით SDF – „სირიის დემოკრატიული ძალები“. ამჟამად სწორედ სირიის დემოკრატიულ ძალებსა და თურქეთის შეიარაღებულ ძალებს შორის მიმდინარეობს დაპირისპირება. ოფიციალური თურქეთი თვლის რომ PKK-ს, YPG-ს და SDF-ს შორის არანაირი განსხვავება არ არსებობს და ისინი ტერორისტული ორგანიზაციებია. თავის მხრივ აშშ-მ კი მთავარ მოკავშირედ ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ ბრძოლაში სწორედ პროქურთული ძალები „ხალხთა დაცვის რაზმები“-YPG გამოძებნა და შესაბამისად, მას უჭერდა მხარს. [27]

სირიელი ქურთები ამჟამად ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილს სრულ პერიმეტრზე აკონტროლებენ. ეს ტერიტორია კი პრაქტიკულად თურქეთს ესაზღვრება. თურქეთის მთავარი პრობლემაა სწორედ ისაა, რომ სირიელი ქურთების სტრატეგიული მოკავშირე ამერიკაა. აშშ მათ აქტიურად ეხმარება სამხედრო ტექნიკით, წვრთნითა და აღჭურვით. თურქეთმა მრავალჯერ წაუყენა მოთხოვნა ამერიკას შეეწყვიტა სირიელი ქურთების მხარდაჭერა, თუმცა უშედეგოდ. თურქეთის მხარე იმუქრებოდა კიდევაც, რომ სახმელეთო ოპერაციის დახმარებით თვითონ გაწმენდდა სახელმწიფოს სამხრეთ საზღვარს ქურთი ტერორისტებისგან.

ამ ყველაფერს ასევე ემატება თურქეთის მიერ რუსეთისგან საჰაერო თავდაცვის სისტემის შეძენის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც აშშ-ს აღშფოთებას იწვევს. თურქეთმა უკვე მიიღო S-400-ის პირველი ნაწილები და ისინი ანკარის სიახლოვეს არსებულ მურთედის სამხედრო-საჰაერო ბაზაზე რუსულმა სამხედრო თვითმფინავებმა ჩაიტანეს. „აშშ თანმიმდევრულად და მკაფიოდ აცხადებს, რომ თურქეთი შეეჯახება ძალიან რეალურ და ნეგატიურ

[27] “რისთვის იბრძვიან ჩრდილოეთ სირიაში“, ავტ. მანანა ქველიაშვილი, 2019 წლის 11 ოქტომბერი, (წაკითხვის თარიღი 20.04.2020), გვ.1
https://netgazeti.ge/news/397465/?fbclid=IwAR1b5BDxNB59uYa8kizdgQy4QEi5dCcCLV0ahhp4Pk31CnT1-KXhqalb4Ho

შედეგებს თუ ის გააგრძელებს S-400-ების შეძენას. ეს მოიცავს F-35-ების წარმოების პროგრამიდან გარიცხვას და ამ თვითმფრინავების შეძენის შესახებ არსებული კონტრაქტის გაუქმებას. თურქეთის მიმართ დაწესდება სანქციები, რაც განკუთვნილია ამერიკის მოწინააღმდეგეებისთვის სანქციების შესახებ არსებული კანონის(CAATSA[28]) ჩარჩოებში"-განაცხადა აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა. მოსალოდნელი სანქციები, რა თქმა უნდა მძიმე, ტვირთად დააწვება თურქეთის ეკონომიკას, მით უმეტეს იმ ფონზე, როდესაც არსებობს ისეთი პრობლემები როგორიც არის ეროვნული ვალუტის დევალვაცია, უმუშევრობა, ინფლაციის მაღალი დონე, საგარეო ვალები, კრიზისი მთელ რიგ კომპანიებში და ა.შ

შეიძლება ითქვას, რომ მთავარი პრობლემა რაც არსებობს აშშ-სა და თურქეთს შორის გამოიხატება აზრთა სხვადასხვაობით ისეთი საკითხებისადმი, როგორიც არის დემოკრატიზაცია, ადამიანის უფლელები და სხვა ღირებულებები თუ ფასეულობები, თუმცა მხარეების სტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე ერთმანეთის მიმართ, ეს სხვადასხვაობა დღემდე არ ასრულებენ მთავარ როლს თურქეთისა და აშშ-ს ურთიერთობებში. თურქეთი აგრძელებს რუსეთთან თანამშრომლობას, პარალელურად კი არ წყვეტს კავშირს ნატოსთან, აქვს მოთხოვნა „პატრიოტის" ტიპის სარაკეტო სისტემებზე. თავის მხრივ აშშ მხარს უჭერს თურქეთს როგორც ნატოს წევრ ქვეყანას. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ თურქეთი გააგრძელებს ურთიერთობას ნატოსთან და აშშ-სთან ჩვეულ რეჟიმში.

ზემო აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, რა თქმა უნდა, არსებობს გარკვეული სირთულეები ორ სახელწიფოს შორის, თუმცაღა თურქეთი რჩება ნატოს წევრად და ინარჩუნებს დე იურე ალიანსს ამერიკასთან. არსებული გეოპოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინებით მოსალოდნელია, რომ ისინი კვლავ განაგრძობენ ამგვარ კავშირს მომავალშიც.

---

[28] *CAATSA (The Countering America's Adversaries Through Sanctions Act)- ამერიკის მოწინააღმდეგეებისთვის სანქციების შესახებ არსებული კანონი წარმოადგენს ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალურ კანონს, რომელიც სანქციებს აწესებს ირანის, ჩრდილოეთ კორეისა და რუსეთისთვის.

თავი III. ნატო-თურქეთის ურთიერთობები: თანამშრომლობა თუ კონფრონტაცია?!

ნატო-თურქეთის ურთიერთობებში როგორც შინაგანი გამოწვევები, ისე გარე ფაქტორების მხრიდან ზეწოლა ცალსახად იკვეთება. ამჟამად ურთიერთუნდობლობა იმდენად მაღალია, რომ ბევრი მოკავშირე კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საკითს იმასთან დაკავშირებით თურქეთი კვლავ იზიარებს თუ არა ნატოს ინტერესებსა და ღირებულებებს. თავის მხრივ თურქეთში კი ცდილობენ ნახოს სარგებელი ნატოს წევრობასა თუ ევროკავშირში გაწევრიანების პროცესის განახლებაში.

3.1. თურქეთი, როგორც ნატოს მნიშვნელოვანი სტატეგიული პარტნიორი, უსაფრთხოებისა და სტაბილურობის უზრუვნელყოფის თვალსაზრისით

თურქეთი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ნატოს როლს ევროატლანტიკური რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის შენარჩუნებაში, ასევე მისი წევრებისთვის შესაბამისი ფორუმების უზრუნველყოფაში, საინტერესო თემების შესახებ პოლიტიკურ-სამხედრო კონსულტაციებისთვის.

თურქეთი ასევე მხარს უჭერს ნატოს ტრანსფორმაციის მცდელობებს, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ ნატოს წარმატებისთვის, შესაბამისად თურქეთს დიდი წვლილი შეაქვს ნატოს რეაგირების ძალებში. სტამბოლში შეიქმნა ძალების სარდლობა, მზადყოფნის მაღალ დონეზე. ნატოს ახალი სარდლობის სტრუქტურის ფარგლებში საჰაერო სარდლობა იზმირში შეიცვალა სახმელეთო სარდლობით.

როგორც ცნობილია ნატოს აქვს მუდმივმოქმედი სამეთაურო სტრუქტურა, სადაც ყველა მისი წევრი სახელმწიფოს სამოქალაქო და სამხედრო პერსონალი ერთად მუშაობს. ასეთია მაგალითად ორი უმაღლესი დონის სტრატეგიული სარდლობა: ნატოს ოპერაციების გაერთიანებული სარდლობა, რომელიც მდებარეობს მონსში (ბელგია) და ნატოს ტრანსფორმაციის გაერთიანებული

სარდლობა, რომელიც ნორფოლკშია (აშშ). ამ სტრატეგიული სარდლობების დაქვემდებარებაშია ერთობლივი ძალების ორი სარდლობა, რომლებთაც შეუძლიათ ძალების მობილიზება და სამხედრო ოპერაციების წარმართვა, ესენია: ბრუნსუმსა (ნიდერლანდები) და ნეაპოლში (იტალია). ასევე ნატოს სამეთაურო სტრუქტურაშია ერთი საჰაერო სარდლობა რამშტაინში (გერმანია), ერთი საზღვაო სარდლობა ნორსვუდში (დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო) და ერთი სახმელეთო სარდლობა იზმირში (თურქეთი).[29]

მოკავშირეთა სახმელეთო სარდლობა (Allied Land Command-„LANDCOM“) ნატო-ს სახმელეთო ჯარების მუდმივი შტაბია, რომელიც სახმელეთო ოპერაციების დაგეგმვის, განხორციელებისა და წარმართვის მიმართულებით ფუნქციონირებს. იგი ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მეშვეობით შეიქმნა ნატოს სახმელეთო ძალების ურთიერთთანამშრომლობის უზრუნველსაყოფად. LANDCOM-ს სარდლობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მრჩეველია ალიანსისთვის სახმელეთო საომარი მოქმედებების დროს. ნატოს წლებია უკვე რაც აღნიშნული შტაბი აქვს იზმირში, თურქეთში.

„პარტნიორობა მშვიდობისთვის სწავლების ცენტრი“ შეიქმნა 1998 წელს თურქეთის გენერალურ შტაბში, იმისათვის, რომ ხელი შეეწყო ნატოს პარტნიორი სახელმწიფოებისთვის ტრენინგებისა და ურთიერთანამშრომლობის მცდელობებისთვის.

თურქეთი მიესალმება ნატოსა და ევროკავშირს შორის სტრატეგიულ პარტნიორობას ამ ორგანიზაციებს შორის შეთანხმებულ ფარგლებში. ეს პარტნიორობა უნდა ემყარებოდეს ურთიერთახმარებასა და გამჭვირვალეობას, ასევე ხელს უნდა უწყობდეს არსებული რისკებისა და საფრთხეების ეფექტურ მოგვარებას. თურქეთის დამოკიდებულება ნატო-ევროკავშირის თანამშრომლობის მიმართ, ბუნებრივია გამომდინარეობს მისი ნატოს წევრობისა და ევროკავშირის წევრობის პერსექტივიდან.

[29] „10 რამ, რაც ნატოზე უნდა იცოდეთ“, (წაკითხვის თარიღი 25.05.2020), გვ.1
http://old.infocenter.gov.ge/uploads/files/2016-08/1472123449_10-ram-rac-unda.pdf

თურქეთმა ევროკავშირთან ურთიერთობა თურქეთის ევროპის თანამეგობრობასთან დამყარებული კავშირით დაიწყო, რომლის წევრობაზეც განაცხადი 1987 წელს შეიტანა. უკვე 1990-იანი წლებიდან მოყოლებული ქვეყანაში მრავალი რეფორმა იქნა გატარებული ევროკავშირში გასაწევრიანებლად. 1995 წელს თურქეთი გახდა ევროპის ერთიანი საბაჟი კავშირის წევრი, ხოლო 1999 წელს ოფიციალურად იყო ევროკავშირში წევრობის კანდიდატი. 2002 წელს ქვეყნის სათავეში „სამართლიანობისა და აღმავლობის პარტია“ მოვიდა, ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხი პრიორიტეტად იქცა და კიდევ უფო აქტიურად დაიწყო რეფორმების გატარება ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ სფეროში, ასევე განხორციელდა საკანონმდებლო და საკონსტიტუციო ცვლილებები. 2011 წელს ქვეყნაში ევროკავშირის სამინისტროც დაარსდა, რომელიც 2018 წლამდე არსებობდა, შემდეგ კი საგარეო საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებულ დეპარტამენტად იქცა.

მიხედავად ყველაფრისა, თურქეთისთვის ევროკავშირში გაწევრინება არცთუ ისე მარტივი აღმოჩნდა. პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ევროპის სახელმწიფოები შეიძლება ითქვას უფრთხოდნენ თურქეთის ჩარევას ევროპულ საქმეებში, აგრეთვე მიიჩნევდნენ, რომ ისეთი მახასიათებლების გათვალისწინებით, როგორიც არის კულტურა ან რელიგია, თურქეთი განსხვავდებოდა ევროკავშირის წევრი ქვეყნებისგან. მისი ორგანიზაციაში ინტეგრაციის წინააღმდეგნი იყვნენ ძირითადად ევროპის ქრისტიან-დემოკრატიული, კონსერვატიული პარტიები, ასევე საბერძნეთი. თურქეთის მაშინდელმა პრემიერმა ბულენთ ეჯევითმა ევროკავშირს „ქრისტანული კლუბიც“ კი უწოდა, რადგან საზოგადოებაში არსებობდა მოსაზრება, რომ ევროკავშირის ქვეყნები თურქეთის რელიგიურ და კულტურულ დისკრიმინაციას ახდენდნენ. მათი ეს მოსაზრებები კიდევ უფრო გამყარდა როდესაც პოლონეთი, ბულგარეთი, რუმინეთი და სხვა ქვეყნები ევროკავშირის წევრები გახდნენ. არსებობდა გარკვეული მოსაზრებები, რომლითაც ევროკავშირი საკუთარ პოზიციას აფიქსირებდა თურქეთის მიმართ. ორგანიზაციის შიგნით არსებული მოძრაობები აღნიშნავდნენ, რომ თურქეთი

კულტურული თუ რელიგიული თვალსაზრისით ახლო აღმოსავლეთის ნაწილი იყო და არ მდებარეობდა ევროპაში. განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ ადამიანის უფლებების დარღვევის უხეშ ფაქტებს, მაგალითად, ქურთებთან და მორწმუნე მუსლიმებთან მიმართებაში, ასევე დამოკიდებულებას კვიპროსის საკითხსადმი. საყურადღებო აღმოჩნდა 2016 წლის გადატრიალების მცდელობის შემდეგ დაწყებული რეპრესიები, რის გამოც ევროკავშირმა ჯერ ფინანსური დახმარება შეუწყვიტა თურქეთს, უკვე 2019 წლის მარტში კი ევროპარლამენტმა მხარი დაუჭირა თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების შეჩერებას. ევროკავშირი და თურქეთი კვლავ აგრძელებენ თანამშრომლობას და ამის მთავარი მიზეზი ეკონომიკური საკითხებია. მნიშვნელოვანია ის ფქტი, რომ 2016 წლის შეთანხმების საფუძველზე ევროკავშირის ქვეყნები თურქეთს გარკვეულ თანხას უხდიან რათა შეაკავოს შრომითი მიგრანტების ნაკადი, აგრეთვე არაევროპელი დევნილების ევროკავშირის ქვეყნებში შესვლა.[30]

თურქეთი ასევე მტკიცედ უჭერს მხარს ნატოს პარტნიორობებს. მაგალითისათვის მიიჩნევს, რომ კონსტრუქციული ურთიერთობა, რომელიც ემყარება ნატოსა და რუსეთს შორის ურთიერთგაგებასა და თანამშრომლობას, მნიშვნელოვანია ევროატლანტიკური მშვიდობისა და სტაბილურობისთვის და რომ ნატო- რუსეთის საბჭო უზრუნველყოფს აუცილებელ ფორუმს ამგვარი ურთიერთობებისთვის. თურქეთს სჯერა, რომ დასავლეთ ბალკანეთის ყველა სახელმწიფოს ინტეგრაცია ევროატლანტიკურ სტრუქტურებში არის რეგიონში მშვიდობის შენარჩუნებისა და სტაბილურობის გასაღები. სწორედ ამ მიზეზით თურქეთი მხარს უჭერს დაინტერესებული ქვეყნების, განსაკუთრებით მაკედონიისა და ბოსნია და ჰერცოგოვინის, წევრობას ნატოში, ასევე უსაფრთხოების შეუქცევად გაძლიერებას კოსოვოში, ურთიერთოიბის ნორმალიზებას სერბეთსა და კოსოვოს შორის.

[30] სანდრო ბაკურაძე, "თურქეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ორიენტირები ცივი ომის შემდგომ პერიოდში", კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი „კავკასიური სახლი", თბ.2020, გვ.2-14

იმის გათვალისწინებით, რომ უსაფრთხოება ვერ იქნება დაშორებული ხმელთაშუაზღვის უსაფრთხოების საკითხებისგან, თურქეთი იზიარებს მოსაზრებას, რომ ხმალთაშუა ზღვის დიალოგი უნდა გაძლიერდეს იმ ადგილებში, სადაც ნატოს შეუძლია დამატებითი ღირებულებების მოტანა. ხმელთაშუა ზღვის დიალოგი, რომელიც პირველად 1994 წელს დაიწყო, არის ნატოსა და ხმელთაშუა ზღვის შვიდ ქვეყანას (ალჟირი, ეგვიპტე, ისრაელი, იორდანია, მავრიტანია, მაროკო, ტუნისი) შორის თანამშრომლობის ფორუმი. მისი მიზანია შექმნას კარგი ურთიერთობები მთელ რეგიონში, აამაღლოს ურთიერთგაგებისა და ნდობის ფატქორები ქვეყნებს შორის, ხელი შეუწყოს რეგიონალური უსაფრთხოებას, სტაბილურობას, ასევე ნატოს პოლიტიკისა და მისი მიზნების განხოლციელებას.

თურქეთი ასევე მხარს უჭერს ყურის ქვეყნების ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას „სტამბოლის თანამშრომლობის ინიციატივის“ გზით. სტამბოლის თანამშრომლობის ინიციატივა (ICI) არის ნატოს ინიციატივა, რომელიც ამ ორგანიზაციის მიერ 2004 წლის სტამბოლის სამიტზე მიიღეს. აღნიშნული ინიციატივა მოიცავს შუა აღმოსავლეთის რეგიონს და ისეთ სახელმწიფოებს, როგორებიც არის ბაჰრეინი, ყატარი, არაბეთის გაერთიანებული საემიროები და ქუვეითი. თავად ნატო უსაფრთხოების თანამშრომლობის ამ პარტნიორობებს განიხილავს, როგორც პასუხს XXI საუკუნის ახალი გამოწვევებისთვის. ინიციატივა ღიაა ახლო აღმოსავლეთის რეგიონის ყველა დაინტერესებული ქვეყნისთვის, რომლებიც იზიარებენ მის მიზნებსა და შინაარსს, მათ შორის ტერორიზმის წინააღმდეგ და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებასთან ბრძოლის ჩათვლით.

მიმდინარე თუ სამომავლო მისიებისა და ოპერაციების წარმატება მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ნატოს მომავლის ჩამოყალიბებაში, თურქეთი კი ააგრძელებს სათანადო დახმარების გაწევას ამ ოპერაციებისთვის.

3.2. თურქეთისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ურთიერთობის ასპექტები დღევანდელ პირობებში და სამომავლო პერსექტივები.

თუ ვიმსჯელებთ, რომ თურქეთი დაინტერესებულია ნატოს მოკავშირეებთან ურთიერთობის აღდგენით, არსებობს რამდენიმე აქტიური ღონისძიება, რომელიც ნატოსა და თურქეთს ახლა შეუძლიათ განახორციელონ მომავლისთვის მტკიცე საყრდენის შესაქმნელად. მთავარია, ყურადღება გამახვილდეს ინტერესის საერთო სფეროებზე, სადაც ნატოს ჩართულობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება თურქეთის სტრატეგიული ინტერესებისათვის და სადაც თურქეთი თამაშობს უნიკალურ როლს ნატოსთვის.

პირველი ასეთი შავი ზღვაა, სადაც თურქეთი, ასევე ნატოს წევრი შავი ზღვის სანაპირო ქვეყნები, რუმინეთი და ბულგარეთი ცდილობენ დააბალანსონ რუსეთის მზარდი სამხედრო გავლენა. მითუმეტეს იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ 2014 წელს ყირიმის უკანონო ანექსიით და 2015 წელს სირიის სამოქალაქო ომში ჩარევით, რუსეთმა მნიშვნელოვნად გაზარდა თავისი ყოფნა და საბრძოლო შესაძლებლობები, როგორც შავი ზღვაში, ისე აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში.

ფაქტია, რომ ცივი ომის დასრლებიდან მოყოლებული ნატო ახალ „სულს“ ეძებდა. აშშ-ს წამყვანი როლი არასდროს ყოფილა ეჭქვეშ დაყენებული, რამდენადაც იგი დარჩა აუცილებელ ძალად და ალიანსის ხერხემლად. პარიზში ცნობილი პოლიტიკური მეცნიერებების პროფესორი ბერტრან ბადი ფრანგული გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში ამბობს რომ ალიანსის ცნების განსაზღვრა ძალზე მნიშვნელოვანია- „ეს არ ნიშნავს უბრალო კოალიციას, არამედ მდგრად კავშირს აშკარად გაზიარებული შეხედულებებით საერთო ღირებულებების გარშემო...“

იბადება მნიშვნელოვანი კითხვა: შეგვიძლია უბრალოდ მოვიშოროთ ძლიერი სამხედრო და პოლიტიკური ძალა? ან იქნებ უნდა დავჯდეთ მაგიდასთან და განვიხილოთ ნატოს შედეგები? ეს ყველაფერი უნდა მოხდეს წევრი სახელმწიფოების მრავალრიცხოვანი საჭიროებების გათვალისწინებით.

თურქეთის მიერ ალიანსის დატოვება მოაგვარებს რაიმე პრობლემას? რა თქმა უნდა, არა.

აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტმა მაიკლ პენსმა გასული წლის 3 ივლისს თურქეთის ნატოს წევრობის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა, როცა ანკარას S-400-ების თემის შემდეგ მოუწოდა არჩევანი გაეკეთებინა რუსეთსა და ნატოს შორის.

როდესაც რუსული რაკეტების შესყიდვის შესახებ აშშ-სა და თურქეთს შორის დაძაბულობა იზრდება, ანკარა ნატოს მხარეს იყურება, ვინაიდან მიაჩნიათ, რომ იარაღის შესყიდვის თაობაზე უფრო დახვეწილი პოზიცია ნატოს გააჩნია. აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის მაიკლ პენსის განცხადებას, რომ რუსული იარაღის შეძენის შემთხვევაში ნატოში თურქეთის მომავალი რისკის ქვეშ დგება, თურქეთის პრეზიდენტის პრეს-მდივნის, იბრაჰიმ კალინის გაღიზიანებული პასუხი მოჰყვა. „ჩვენ ერთ-ერთი წევრი ვართ. ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელსაც ყველა გადაწყვეტილების მიღებაში სიტყვა ეკუთვნის, ამიტომ ნატოში თურქეთის ადგილის შესახებ კითხვების წამოჭრას არ დავუშვებთ“-განაცხადა კალინმა. რა თქმა უნდა რუსეთის ოცნებაა ჩამოაშოროს თურქეთი დასავლელ პარტნიორს, მაგრამ ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ ნებისმიერი რუსულ-თურქული გაერთიანება აუცილებლად დაიშლება და ეს მოხდება ისტორიული და რეგიონული ინტერესების, მათ შორის არსებული კონკურენციის გათვალისწინებით. [31]

თურქეთის, როგორც კარგი გეოპოლიტიკური მდებარეობის მქონე ქვეყნის დაკარგვა მოკავშირეობრივი თვალსაზრისით, შეიძება ითქვას, რომ ამერიკისთვის ნამდვილად არახელსაყრელია. შესაბამისად, სავარაუდოა, რომ დასავლეთი დათმობებზე წავა ანკარასათან, ხოლო ერდოღანი შეეცდება მის ხელთ ასებული უპირატესობები გამოიყენოს და რაც შეიძლება მეტი სარგებელი ნახოს, როგორც ნატოს წევრმა სახელმწიფომ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თურქეთის

[31] ინდირა შავაძე, „ნატო-თურქეთის თანამედროვე ურთიერთობები“ (სამაგისტრო ნაშრომი), კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბ.2019 წელი, გვ.55
https://openscience.ge/bitstream/1/1690/1/Indira%20Shavadze%20Samagistro.pdf

ჩრდილოატლანტიკური ალიანსიდან გასვლის პერსპექტივის შესახებ საუბარი ნაადრევია.

დასკვნა

აშშ-ს შემდეგ ალიანსში ყველაზე დიდი შეიარაღება სწორედ თურქეთს აქვს. ის ნატოს ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრია, რომელიც თავის დროზე ასევე აქტიურად იყო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მისიებში. ნატო თურქეთის ურთიერთობების მანძილზე ადგილი ჰქონდა კრიზისულ მომენტებსაც, როცა ნატოს თითქოს უნდა გადაეხედა ურთიერთობებისთვის თურქეთთან, თუმცა ფაქტია, რომ ის კვლავ უმნიშვნელოვანესი პარტნიორია ნატოსთვის.

ნატოს სჭირდება თურქეთი, რადგან ეს გეოგრაფიული ადგილი სტრატეგიულად მნიშვნელოვანია. თურქეთს სჭირდება ევროპა და ამერიკა, რადგან რესურსები და თავდაცვისუნარიანობა უშუალოდ ეხმარება თურქეთის საზღვრების დაცვას, იმ გზით რაც სხვა ქვეყნებს არ შეუძლიათ. შესაბამისად, ნატოს დატოვება არ იქნება ჭკვიანური თამაში თურქეთის მხრიდან, რადგან მხარეები უფრო მეტს დაკარგავენ, ვიდრე მოიპოვებენ. ზემოაღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით დასტურდება ჰიპოთეზა, რომ ნატოსთვის თურქეთი წარმოადგენს მნიშვნელოვან სტრატეგიულ პარტნიორს, შესაბამისად მოსალოდნელია რომ მათ შორის არსებული კავშირი უცვლელად შენარჩუნდება და თანამშრომლობა გაგრძელდება.

რა არის ჩრდილოატლანტიკური ალიანსის უსაფრთხოების მთავარი ამოცანა გლობალური უსაფრთხოების თვალსაზრისით?

ალიანსის უსაფრთხოების განუყოფლობა, მოკავშირეთა შორის სოლიდარობა და რეალური რისკების, ტვირთის გაზიარება, განაწილება, ასევე კონსესუსის წესი ნატოს სახელმძღვანელო პრინციპებია და ასეთივე ფორმით უნდა იქნას შენარჩუნებული. ამ პრინციპების დაცვამ, აგრეთვე ნატოს შესაძლებლობამ

ადაპტირდეს ცვალებად უსაფრთხოების გარემოში, ნატო გახადა ისტორიაში ყველაზე წარმატებული სამხედრო ალიანსი.

საბჭოთა კაშირის დაშლის შემდეგ ჩამოყალიბებული ერთპოლუსიანი სამყარო თანდათან მრავალპოლუსიანი გახდა ოთხი ძირითადი მოთამაშით: აშშ, ევროკავშირი, რუსეთი და ჩინეთი. გაიზარდა ტერორიზმის, საერთაშორისო კრიმინალის შემთხვევები, გაჩნდა ახალი ტიპის საფრთხეები, რომლებიც მანამდე უცნობი და უცხო იყო კაცობრიობისთვის. ამ ყველაფრის ფონზე კი ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის აუცილებელი გახდა ორგანიზაციული ცვლილებები, ერთგვარი ტრანსფორმაცია, რომელიც შეიძლება ითქვას, რომ დღესაც გრძელდება. ნატომ მთელი რიგი ახალი ფუნქციები შეიძინა, რათა მიიღოს ზომები და განახორციელოს შესაბამისი ქმედებები დღეს არსებული ასიმეტრიული საფრთხეების წინააღმდეგ. მას უწევს გაუმკლავდეს თანამედროვე სამყაროს გამოწვევებს. მისი არსებობისთვის აუცილებელია ახალი მიდგომები და მნიშვნელოვანი სიახლეები კოლექტიური თადაცვის ფარგლებში, ასევე წევრი სახელმწიფოების ჩართულობა თავდაცვის სფეროში. ის კონსულტაციას უწევს წევრ სახელმწიფოებს ეკონომიკურ თუ სხვა საკითხებში, ასევე ეხმარება მათ თავდაცვითი პროგრამების შემუშავებაში.

როგორია თურქეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკა მიმდინარე გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კონტექსტში?

გეოგრაფიულად, თურქეთი იკავებს მსოფლიოს შეიძლება ითქვას ყველაზე სტრატეგიულად მნიშვნელოვან ტერიტორიას. ეს არის ნატო–ს წევრი ერთადერთი სახელმწიფო, რომელიც ესაზღვრება სირიასა და ერაყს, რომლებიც თავის მხრივ ლიბანისა და ისრაელის მახლობლად მდებარეობენ. თურქეთი აკონტროლებს ბოსფორის სრუტეს, მარმარილოს ზღვასა და დარდანელის სრუტეს შავ ზღვასა და ხმელთაშუა ზღვას შორის. თურქეთის გეოგრაფიული მდებარეობა და ძლიერი სამხედრო ძალა მას ნატოს სამხრეთ ფლანგის წამყვან სახელმწიფოდ ხდის რუსული აგრესიის წინააღმდეგ. მას გააჩნია აეროპორტები,

რომელთაც შეუძლიათ ხელი შეუწყონ ნატოს საჰაერო ოპერაციებს შუა აღმოსავლეთში, შავი ზღვისა და ბალკანეთის მიმართულებით. ის არის ნატოს იმ ხუთ ქვეყანათაგან ერთ-ერთი, რომელიც თავის ტერიტორიაზე ინახავს აშშ-ს ტაქტიკურ ბირთვულ იარაღს. რამდენიმე 50 B-61 ბირთვული ბომბია ინჯირლიკის საჰაერო ბაზაზე, რომელსაც იქ განთავსებული აშშ-ს სამხედრო ძალები აკონტროლებენ. მსგავსი ტიპის ბომბებს ნატო ინახავს გერმანიაში, იტალიაში, ბელგიასა და ნიდერლანდებშიც.

შეერთებული შტატების შემდეგ, თურქეთს ჰყავს სიდიდით მეორე ადგილზე მყოფი შეიარაღებული ძალები ნატოში და ამ მაჩვენებლით იგი აღემატება გერმანიის, საფრანგეთისა თუ დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ძალებს ნატოში. თურქეთის ეს მახასიათებლები შემდეგნაირად გამოიყურება: ჯარისკაცები (639 000 სამხედრო, ნეხევრადსამხედრო და სამოქალაქო პერსონალი), ტანკები (3 200), ჯავშანტექნიკა (9 500), არტილერია (2 400), სამხედრო თვითმფრინავები (1 067 გამანადგურებელი თვითმფრინავი, თავდასხმის ვერტმფრენები და ტრანსპორტი). თურქეთის საზღვაო ძალების შემადგენლობაში შედის 194 ხომალდი, ძირითადად ფრეგატები, კორვეტები, სანაპიროს შეიარაღებული ვერტმფრენები და მათ შორის 12 წყალქვეშა ნავი. ზოგიერთი ანალიტიკოსი აფასებს თურქეთს, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სამხედრო ძალის მქონე სახელმწიფოს, რომელიც რიგით მეცხრეა მსოფლიოში 137 სამხედრო ძალას შორის.

დღესდღეობით, ქვეყნის მმართველი ძალა ცდილობს საკუთარი, დამოუკიდებელი შიდა და საგარეო პოლიტიკა გაატაროს, რომელიც ითვალისწინებს ძირითადად თურქეთის ინტერესებს და ნაკლებად იზიარებს საერთაშორისო პარტნიორების მიზნებს, ღირებულებებსა თუ სულისკვეთებას. თურქეთის ნატოს წევრო სახელმწიფოა, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს კიდეც მის უსაფრთხოებასა და სტაბილურობას. ევროკავშირს რაც შეეხება, იგი ქვეყნის მთავარი სავაჭრო პარტნიორია, რომელზეც დიდწილადაა დამოკიდებული თურქეთის ეკონომიკური განვითარება. ამ მოცემულობაში კი საკითხავია რამდენ ხანს გაძლებს თურქეთის აღმოსავლური პოლიტიკა,

რომელიც რეალურად მისი სტაბილურობის გარანტად ჯერ კიდევ ვერ ჩაითვლება. აქვე აღსანიშნავია ალიანსის გარკვეული ნდობა იმ ფაქტისადმი, რომ რუსეთი, რომელსაც დასავლეთის ლიდერები ადანაშაულებენ დასავლეთის დესტაბილიზაციის ფარულ კამპანიაში, ვერასოდეს შესთავაზებს თურქეთს ისეთი სახის კოლექტიური უსაფრთხოების გარანტიებს, როგორიც ნატოს შეუძლია შესთავაზოს.

რა მნიშვნელოვანი პროცესები შეიძლება გამოვყოთ თანამედროვე ეტაპზე ნატო-თურქეთის ურთიერთობებში?

2019 წლის ნოემბერში მაკრონსა და ნატოს გენერალურ მდივანს, იანს სტოლტენგერს, შორის გამართულ პრესკონფერენციაზე, საფრანგეთმა მტკიცედ განაცხადა, რომ ის ეწინააღმდეგება თურქეთის პოლიტიკას მოაშოროს YPG მისი სამხრეთ საზღვრებიდან. ამით მან აჩვენა, რომ ცალმხრივ მოქმედებებს შეუძლიათ ნატოს ფუნქციონირების შეფერხება. ის ამტკიცებდა, რომ ცალმხრივ სამხედრო ქმედებებს არ შეუძლიათ გზა გახსნან სოლიდარობისკენ მოკავშირე სახელმწიფოებს შორის, რომ ამგვარი ქმედებები ორგანიზაციას მოძველებულს ხდიან და საფუძველს უქმნიან მის გაუქმებას.

ანკარის ქმედებებმა ქურთი ძალების წინააღმდეგ, რომლებიც შეერთებულ შტატებთან ერთად იბრძვიან ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ და თურქეთის მიერ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან შეთანხმებულმა ხელშეკრულებამ ჩრდილოეთ სირიაში პატრულირების შესახებ, წარმოშვა მთელი რიგი სადაო საკითხები ქვეყნებს შორის. თუმცაღა, ისიც აღსანიშნავია, რომ არც თურქეთს და რუსეთს აქვთ ყველაფერი რიგზე ერთმანეთში, მითუმეტეს, რომ გააჩნიათ განსხვავებული ინტერესები და შეხედულებები ისეთ საკითხებთან მიმართებაში, როგორიც არის კოსოვო, ყირიმი, სირია, აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი, ყარაბაღი, დნეპრისპირეთი და ა.შ. მაგალითად, თურქეთი არ იზიარებს რუსეთის პოზიციას ყარაბაღის მიმართ. განსხვავებული შეხედულებები აქვთ სირიის კონფლიქტთან მიმართებაშიც. რაც შეეხება

საქართველოს, უკრაინასა და ბალკანეთის საკითხს, იმ ფონზე, როდესაც საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებულია რუსეთის მიერ, თურქეთი აღიარებს და მხარს უჭერს ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას და არც რუსეთის მიერ 2014 წელს ანექსირებულ ყირიმს მიიჩნევს ის რუსეთის ტერიტორიად, ასევე აღიარებს და მხარს უჭერს კოსოვოს დამოუკიდებლობას, მაშინ როდესაც რუსეთი განსხვავებულ პოზიციას აფიქსირებს.

როგორც ჩანს ორივე ნატოსაც და თურქეთსაც ავიწყდებათ ისტორიული კავშირები და საერთო ინტერესები, რამაც განაპირობა თურქეთის ნატოში გაწევრიანება 1952 წელს, მაგალითად დაპირისპირება რუსეთის (მაშინდელი საბჭოთა კავშირის) გავლენასთან ცენტრალურ აზიასა და შუა აღმოსავლეთში და სტაბილურობის შენარჩუნება ამ უკანასკნელში. მიუხედავად ყველაფრისა ეს ფუძემდებლური ფაქტორები კვლავს ძალაში რჩება. თურქეთის გეოპოლიტიკური პოზიცია ევროპის, აზიისა და აფრიკის გზაჯვარედინზე კვლავ უზრუნველყოფს ნატოს საჭირო პოლიტიკურ და ოპერაციულ შესაძლებლობებს, ხოლო თურქეთი აგრძელებს სარგებლის მიღებას ნატოს კოლექტიური სამხედრო ძალისაგან. თურქეთსა და ნატოს, ევროკავშირის მხარდაჭერით, სჭირდებათ მიიღონ აქტიური ზომები მომავლის გასაძლიერებლად, რათა თავიდან აირიდონ ურთიერთობების გაუარესება.

როგორია ნატოს-თურქეთს შორის არსებული ურთიერთობების სამომავლო პერსპექტივები?

როცა ვამბობთ, რომ თურქეთისთვის ნატო აუცილებლობას წარმოადგენს, ძირითადად აქცენტი კეთდება ნატოს როლზე რუსეთისა და რეგიონული ბალანსის თვალსაზრისით. რა თქმა უნდა, მსგავსი აქცენტები გამართლებულია. ნატო თავის დროზე საბჭოთა კავშირის ეფექტურობის გაზრდის ხელის შესაშლელად უჭერდა მხარს თურქეთს, ვინაიდან მიიჩნევდა, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ალიანსს საფრთხეს უქმნიდა. თურქეთის მიერ

ნატოს დატოვების შემთხვევაში კი შესუსტდება ალიანსის პოზიციები შავ ზღვასა და ახლო აღმოსავლეთში.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია რომ რომელიმე უბრალო გაერთიანება იყოს, ალბათ არ დააყოვნებდა მისი წევრის ორგანიზაციიდან გაგდებას მათ შორის თურქეთისაც, მაგალითად ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც 1974 წელს თურქეთი შეიჭრა ხმელთაშუა ზღვის კუნძულ კვიპროსზე და ამ კრიზისის პერიოდში იბრძოდა სხვა წევრი ქვეყნის - საბერძნეთის წინააღმდეგ. მითუმეტეს, რომ აღნიშნული ქმედება ეწინააღმდეგება ნატოს პრინციპებსა და ღირებულებებს.

საქმე იმაშია, რომ 1949 წელს დაარსებულ ალიანსს არ აქვს მექანიზმი წევრი ქვეყნის ორგანიზაციიდან განსადევნად, მაგრამ შესაძლებელიობა აქვს კონკრეტულ ქვეყანაზე გარკვეული ზეწოლა მოახდინოს. გზა ნატოდან თურქეთის გასვლისა თავად თურქეთის მიერ წევრობაზე უარის თქმაა. ერთადერთი სადაც მსგავს საკითხზეა საუბარი არის ხელშეკრულების მეცამეტე მუხლი: "ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 20 წლის გასვლის შემდეგ ნებისმიერ მონაწილე მხარეს შეუძლია შეაჩეროს საკუთარი წევრობა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისთვის დენონსაციის შესახებ შეტყობინების წარდგენიდან ერთი წლის შემდეგ, რომელიც, თავის მხრივ, ამის შესახებ ამცნობს ხელშეკრულების სხვა მხარეებს." ეს ნიშნავს, რომ არ არსებობს დებულება, რათა მოხდეს წევრის გაძევება - შესაძლებელია მხოლოდ წევრის გასვლა. შესაბამისად, არ არსებობს დებულებები სასჯელის ან შედეგების დასმისთვის იმ წევრისთვის, რომელიც მოქმედებს ნატოს ინტერესების საწინააღმდეგოდ.

თუ თურქეთი დატოვებს ნატო-ს და გააგრძელებს რუსეთთან მოკავშირეობას, მაშინ ეს ახალი ალიანსი გააკონტროლებს ევროპისკენ მიმავალ თითქმის ყველა ენერგეტიკულ მარშრუტს. გერმანია და ევროპის სხვა ქვეყნები დღესდღეობით დამოკიდებულნი არიან რუსულ გაზზე. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი მაგალითად იმისაც, რომ ისინი სათანადო რეაგირებას არ ახდენენ რუსეთის მიერ უკრაინაში ყირიმის ანექსიის ფაქტზე. ეს გაზრდის რუსეთის/თურქეთის გავლენას ახლო

აღმოსავლეთში. თურქეთის მიერ ნატო-ს დატოვება საფრთხის შემცველი იქნება აშშ-სა და ისრაელის ინტერესებისთვისაც, მითუმეტეს თუ ის გახდება ირანის მსგავსი სახელმწიფო. შეერთებულმა შტატებმა უნდა გააკეთოს ყველაფერი იმისთვის, რომ ნატოში ასეთი ღირებული მოკავშირე შეინარჩუნოს და თავიდან აიცილოს თურქეთის საშიშ მტრად ქცევა.

თურქეთის ნატოდან გასვლით ალიანსი დაკარგავს მნიშვნელოვან სამხედრო შესაძლებლობებს, წვდომას შავი ზღვასა და ინჯირლიკის ბაზის გამოყენებაზე, საიდანაც ხდება საჰაერო შეტევების განხორციელება სირიაში/ერაყში. ასევე, თუკი თურქეთი იმდენად გაღიზიანდა, რომ ნატოს დატოვებას გადაწყვეტს, ეს იმას ნიშნავს, რომ ევროპაში მიგრანტულ ნაკადებზე თანამშრომლობის სურვილივ არ ექნება. როგორც უკვე ვიცით, თურქეთი აკონტროლებს შუა აღმოსავლეთის ლტოლვილების შესვლის ნაკადს ნატოს ევროპულ სახელწიფოებში. როგორც კი კრიტიკული შეფასებები კეთდება ევროკავშირის წევრი ქვეყნების მხრიდან არც თურქეთი ერიდება „კუნთების“ ჩვენებას და მიგრანტების თემით მანიპულირებას. 2016 წლის შეთანხმების საფუძველზე ევროკავშირის ქვეყნები თურქეთს გარკვეულ თანხას უხდიან რათა შეაკავოს შრომითი მიგრანტების ნაკადი, აგრეთვე არაევროპელი დევნილების ევროკავშირის ქვეყნებში შესვლა. ამ გადამწყვეტი როლის წყალობით, მეგობრულად განწყობილ თურქეთს შეუძლია დაასტაბილუროდ მდგომარეობა მეზობელ სახელმწიფოებში, ან არამეგობრული განწყობით შეუძლია კონტროლის გარეშე შეუშვას ადამიანების დიდი ნაკადი ევროპაში.

რონდელის ფონდის მკვლევარი დავით ბატაშვილის შეფასებით, ნატოს დატოვება არ შედის არც თავად თურქეთის და არც აშშ–ის ინტერესებში: „თურქეთისთვის ნატო–ს წევრობა მნიშვნელოვანი დამხმარე ფაქტორია საგარეო პოლიტიკის წარმოებისას. მაგალითად, რუსული თვითმფრინავის ჩამოგდების მსგავსი ინციდენტის დროს უკეთესია, როდესაც ნატო–ს წევრი ხარ. საკუთარი ტერიტორიის უსაფრთხოების ფორმალური გარანტია მნიშვნელოვანი რამ არის. თურქეთის სრული "დაკარგვა" არც აშშ–ს აწყობს. ორივე მხრიდან ამჟამინდელი ცუდი ურთიერთობა შეიძლება, დროებითი აღმოჩნდეს. არც ერთ მხარეს

არაფერში სჭირდება ამ ვითარების თურქეთის ნატო–დან გასვლით გართულება“[32].

ამგვარად, აუცილებელია, პოლიტიკური რიტორიკის მიღმა გავიგოთ და დავინახოთ, რომ თურქეთისთვის „ნატოს“ უდიდესი სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია, ისევე როგორც თურქეთს ნატოსთვის. ეს ურთიერთობები კი ათწლეულებს ითვლის და ახლაც უცვლელი რჩება.

ნაშრომში გამოყენებულია „ძალთა ბალანსის“, „თანამშრომლობითი უსაფრთხოებისა“ და „ალიანსის“ თეორიები. ძალთა ბალანსის საფუძველზე მიმოხილულია ის ფაქტი, რომ საერთაშორისო სისტემა არის ანარქიული. სახელმწიფოები ერთობლივად მოქმედებენ უსაფრთხოებისა და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად, მაგალითად უფრო ძლიერი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამგვარი ერთობით ისინი უზრუნველყოფენ მშვიდობასა და წესრიგს საერთაშორისო სისტემაში. მათ შეუძლიათ შექმნან გარკვეული კავშირი, გაერთიანა, რომელიც დაიცავს თითოეული მათგანის ინტერესებს ან ისეც ხდება, რომ იძულებულები არიან მიეტმასნონ სხვა გაცილებით ძლიერ სახელმწიფოებს, რამაც თავის მხრივ შესაძლოა ეროვნული ინტერესების ნაწილის დათმობა გამოიწვიოს. „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორიიდან გამომდინარე წარმოდგენილია ნატო-თურქეთის ურთიერთობები, რომლებიც მოიცავდა საერთო საფრთხეების აღიარებას, მზარდ ურთიერთგაგებას საერთო ფასეულობებზე და ინსტიტუციონალური ფორმატის ჩამოყალიბებას. რაც შეეხება „ალიანსის თეორიას“, მისი მეშვეობით ნაჩვენებია ისეთი ორგანიზაციის არსებობის მნიშვნელობა, როგორიც ნატოა, რათა გლობალურად შეეკავებინა საბჭოთა ძალა ცივი ომის დროს.

[32] სტატია „ნატო-თურქეთი-რუსეთი: ვის აირჩევს ანკარა?“ 2019 წლის 12 აპრილი, (წაკითხვის თარიღი 09.06.2020), გვ.1
https://accentnews.ge/ka/article/165-nato-turketi-ruseti-vis-airchevs-ankara

გამოყენებული ლიტერატურა:

1) ბაკურაძე სანდრო, “თურქეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი ორიენტირები ცივი ომის შემდგომ პერიოდში“, კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი „კავკასიური სახლი“, თბ.2020.
2) გაბელია ირაკლი, „ნატოს სტრატეგია შავი ზღვის რეგიონალური უსაფრთხოების კონტექსტში“, (სამაგისტრო ნაშრომი), კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბ.2019
3) დიანა გიგლემიანი, “ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობები 21-ე საუკუნის სტრატეგიული სტაბილურობის პირობებში“, (სამაგისტრო ნაშრომი), კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბ.2018 წელი
4) ლალიაშვილი ქ. „რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების დინამიკა“, პოლიტიკა კავკასიის გარშემო (საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია,შრომათა კრებული), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016წ.
5) მაისაია ვახტანგი, „შავი ზღვის აუზის გეოსტრატეგიული ბალანსის პოლიტიკური ასპექტები“, ქართულ-ევროპული ინსტიტუტი (პარიზი) კავკასიის ხალხთა საერთაშორისო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი (თბილისი)- პარიზი 2003 წ.
6) მაისაია ვ. მაღრაძე გ. - 21-ე საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკა და „თანამშრომლობითი უსაფრთხოების“ თეორია: მითი და რეალობარეგიონალური და გლობალური ასპექტები. გამომც. „უნივერსალი“ 2017წ.
7) მაკარაძე ემზარი, „თურქეთის საშინაო პოლიტიკა 2000-2015 წლებში“, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (აღმოსავლეთ მოცდნეობის დეპარტამენტი), გამომცემლობა „უნივერსალი“, თბ.2016 წელი.
8) მაკარაძე ემზარი, „თანამედროვე თურქეთის აქტუალური საკითხები (XXს-ის 90-იან წლებში“, ბათუმი 2000 წელი
9) მაკარაძე ემზარი, ,,თურქეთის საშინაო პოლიტიკა 1980–2011 წლებში”, თბილისი 2012 (სახელმძღვანელო)

10) მაჩურიშვილი ნინო, „ევროკავშირის შესაძლებლობების შეფასება კონფლიქტების გადაწყვეტის სფეროში“, (სამაგისტრო ნაშრომი), ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ. 2009 წელი
11) ოთარაშვილი ზურაბი, ,,ნატოს სამშვიდობო ოპერაციები და მათი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა: კოსოვოს და ავღანეთის სამშვიდობო მისიების შედარებითი ანალიზი“, (სამაგისტრო ნაშრომი), კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბ.2018 წელი.
12) შავაძე ინდირა, „ნატო-თურქეთის თანამედროვე ურთიერთობები“ (სამაგისტრო ნაშრომი), კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბ.2019 წელი.
13) შავრეშიანი გიორგი, “აშშ-თურქეთის პოლიტიკური ურთიერთობები თანამედროვე პერიოდში“, (სამაგისტრო ნაშრომი), კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, თბ. 2020 წელი.
14) ჩიტაძე ნ. ,,ნატო ჩრდილოატლანტიკური ალიანსი მსოფლიო მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი“ - მარშალის ცენტრის კურსდამთავრებულთა კავშირი, საქართველო-საერთაშორისო და უსაფრთხოების საკითხების კვლევის ცენტრი, თბილისი 2008
15) „თურქეთის გეოპოლიტიკა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან“ (წაკითხვის თარიღი 05.04.2020)

https://atsu.edu.ge/en/images/pdf/disertaciebi/disertacia_chigvaria.pdf?fbclid=IwAR0fD3Kn_AT3omZ8C5_lycY2Z2QD8DO3w3u9rb4e8395Fm6_G8Mri0W0b2c

16) სტატია „ნატო მეკობრეთა კვალდაკვალ“, ავტ. სოფიკო მენაბედიშვილი, გამოქვეყნებულის თარიღი 2017 წლის 22 თებერვალი, (წაკითხვის თარიღი 01.06.2020)

http://yata.ge/ge/?p=1322#more-1322

17) სტატია „სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვის მინისტერიალი“, (წაკითხვის თარიღი 01.06.2020)

https://mod.gov.ge/ge/news/read/2116/south-eastern-europe-defence-ministerial

18) სტატია “წარსული-აწმყო-მომავალი – ნატო-თურქეთის ურთიერთობები“, ავტ. ანა თაბაგარი, გამოქვეყნების თარიღი 2017 წლის 3 იანვარი, (წაკითხვის თარიღი 07.06.2020)

http://yata.ge/ge/?p=1216

19) სტატია „ნატო VS რუსეთი - შავი ზღვა დაპირისპირების ახალ კერად იქცევა?“, ავტ. ირაკლი ალადაშვილი, გამოქვეყნების თარიღი 2016 წლის 18 ივლისი (წაკითხვის თარიღი 09.06.2020)

https://www.kvirispalitra.ge/samkhedro-thema/30687-nato-vs-rusethi-shavi-zghva-dapirispirebis-akhal-kerad-iqceva.html

20) სტატია“შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხები და მონტროს კონვენცია (კონვენციის მე - 80 წლისთავისთვის)“, ავტ. ჯემალ გამახარია (აფხაზეთის

უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე), (წაკითხვის თარიღი 17.04.2020)

https://scara.gov.ge/ka/2011-09-08-07-44-18/824--80-.html?fbclid=IwAR2cCgXzcqk1bf7KmtHYnaxoe57FAs_0Ex9eNXsT2X-l7uW09Xs_JBnpJIo

21) სტატია "პუტინმა და ერდოღანმა შეხვედრაზე Su-35 საბრძოლო თვითმფრინავების ყიდვაზე ისაუბრეს", გამოქვეყნების თარიღი 2019 წლის 28 აგვისტო, (წაკითხვის თარიღი 21.05.2020)

https://commersant.ge/ge/post/putinma-da-erdoganma-shexvedraze-su-35-sabrdzolo-tvitmfrinavebis-yidvaze-isaubres?fbclid=IwAR2vAnS_R7RicHZKZq7vgaRyCCdzt_cKIngtkH6LTatc3-ivJQl4dvGR_XU

22) სტატია "5 ტიპის რუსული საბრძოლო იარაღი, რომლისაც ნატოს ეშინია - ამერიკელი სპეციალისტის რეიტინგი", გამოქვეყნების თარიღი 2016 წლის 16 მარტი, (წაკითხვის თარიღი 21.05.2020) http://intermedia.ge

23) სტატია " საით მიდის თურქეთი - რუსული ს-400-ის შემდეგ რუსულივე სუ-35", გამოქვეყნების თარიღი 2019 წლის 13 აგვისტო, (წაკითხვის თარიღი 21.05.2020)

https://commersant.ge/ge/post/sait-midis-turqeti-rusuli-s-400-is-shemdeg-rusulive-su-35?fbclid=IwAR0UBMCN_E8pb_icAOlzCocC7clGEl_sanNaA_TjjhPZ9JbLC5xeMBHj4cw

24) სტატია "სირია: იდლიბზე თავდასხმისას თურქეთის 29 ჯარისკაცი მოკლეს", ავტ. ლუკა პერტაია, გამოქვეყნების თარიღი 2020 წლის 2 თებერვალი, (წაკითხვის თარიღი 22.05.2020)

https://netgazeti.ge/news/430477/?fbclid=IwAR3UgLQBizEf2krnMZ-qCq54NQAwTDB0KmEs-fuiHVaZiPMG2JPAg3VCFKs

25) სტატია "ნატო აგრძელებს თურქეთის მხარდაჭერას – სტოლტენბერგი იდლიბში თავდასხმის შემდეგ", ავტ. ლუკა პერტაია, გამოქვეყნების თარიღი 2020 წლის 28 თებერვალი, (წაკითხვის თარიღი 22.05.2020)

https://netgazeti.ge/news/430639/?fbclid=IwAR2tXbh9iXEzxNUtw_UJvA6tyH1jeJ-4B7LWfWWa7Qi_LekYOkiw6AVn45k

26) სტატია "სირიაში რუსეთ-თურქეთის დაპირისპირების გავლენა საქართველოზე", ავტ. ნიკა ბურდული, გამოქვეყნების თარიღი 2020 წლის 3 თებერვალი, (წაკითხვის თარიღი 23.05.2020)

https://netgazeti.ge/news/424126/?fbclid=IwAR3lkJVQ3CAmV3I66x6PoO36IZt7TV0PTVuGwDGknw-U6pUZGbXCR7R2jVo

27) სტატია "დიდი გეოპოლიტიკური ცვლილებების ზღვარზე - თურქეთი აშშ-ს ინჯირლიკის ბაზის დახურვით ემუქრება", ავტ. თამარ შუკვანი,

გამოქყევყენბსი თარიღი 2019 წლის 16 დეკემბერი, (წაკითხვის თარიღი 24.05.2020)

http://resonancedaily.com/index.php?id_rub=8&id_artc=84891&fbclid=IwAR1TaMZigqACIHqNzlDUdwIqRC9YqJmjptbwkBOX5KgtalZSzXp1t0wvPvc

28) სტატია "რისთვის იბრძვიან ჩრდილოეთ სირიაში", ავტ. მანანა ქველიაშვილი, გამოქვეყნების თარიღი 2019 წლის 11 ოქტომბერი, (წაკითხვის თარიღი 20.04.2020)

https://netgazeti.ge/news/397465/?fbclid=IwAR1b5BDxNB59uYa8kizdgQy4QEi5dCcCLV0ahhp4Pk31CnT1-KXhqalb4Ho

29) სტატია „აშშ-თურქეთის დაძაბული ურთიერთობები და მისი შესაძლო გავლენა რეგიონულ უსაფრთხოებაზე", ავტ. ზურაბ ბატიაშვილი, (წაკითხვის თარიღი 23.05.2020)

https://www.gfsis.org/ge/publications/view/2702?fbclid=IwAR0W0huAvfDa-HABagYUYy8ouS2GIyWKVmpeaCFAQXTEX2pravyHc-RlwHo

30) სტატია „გამწვავებული აშშ-თურქეთის ურთიერთობა და თურქეთის 'ოსთპოლიტიკა'", ავტ.შოთა თხელიძე, გამოქვეყნების თარიღი 2017 წლის 10 ოქტომბერი, (წაკითხვის თარიღი 24.05.2020)

https://1tv.ge/analytics/gamwvavebuli-ashsh-turqetis-urtiertoba-da-turqetis-ostpolitika/?fbclid=IwAR2IP6i7CGd7z5aMe-XXy8LmUu8iPp9s7GJnL-uk-O2aNItorOcHFR-zxHQ

31) სტატია „ნატო-თურქეთი-რუსეთი: ვის აირჩევს ანკარა?", გამოქვეყნების თარიღი 2019 წლის 12 აპრილი, (წაკითხვის თარიღი 09.06.2020)

https://accentnews.ge/ka/article/165-nato-turketi-ruseti-vis-airchevs-ankara

32) „10 რამ, რაც ნატოზე უნდა იცოდეთ" (წაკითხვის თარიღი 11.05.2020)

http://old.infocenter.gov.ge/uploads/files/2016-08/1472123449_10-ram-rac-unda.pdf

33) „საქართველო და ნატოსაინფორმაციო ცენტრი"

http://old.infocenter.gov.ge/nato-structure/

34) „Turkey and the West: Fault Lines in a Troubled Alliance (Geopolitics in the 21st Century)", Kemal Kirisci
35) Melvin, n.. Rebuilding Collective Security in theBlack Sea Region. SIPRI Policy Paper No. 50 . (2018, december)
36) Horrell, S. A NATO Strategy for Security in the Black Sea Region. Atlantic Council of the United States. Brent Scowcroft Center on International Security . (2016).
37) „Turkey's International Security Initiatives and Contributions to NATO and EU Operations", (წაკითხვის თარიღო 01.06.2020)

http://www.mfa.gov.tr/iv_-european-security-and-defence-identity_policy-_esdi_p_.en.mfa

38) „Turkey and NATO: A Relationship Worth Saving“, Rachel Ellehuus, 02/12/2020, (წაკითხვის თარიღი 11.05.2020)

https://www.csis.org/analysis/turkey-and-nato-relationship-worth-saving

39) „Turkey's Relations with NATO“, (წაკითხვის თარიღი 11.05.2020)

http://www.mfa.gov.tr/nato.en.mfa

40) „Should Turkey leave NATO?“, EMRE GÖNEN, 04/09/2019, (წაკითხვის თარიღი 12.05.2020)

https://www.dailysabah.com/columns/emre_gonen/2019/12/04/should-turkey-leave-nato

41) „NATO praises Turkey's key role in Afghanistan mission“, (წაკითხვის თარიღი 01.06.2020)

https://www.hurriyetdailynews.com/nato-praises-turkeys-key-role-in-afghanistan-mission-148002